„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი“

განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი 2007 წ. დეკემბერი * №15 * ფასი 70 თეთრი

„თავზარდამცემი და შოკისმომგვრელია ზვიად გამსახურდიას შვილების ჯაშუშობაში მხილება...“ გვ. 3

ხიზნის ფიქრები სამშობლოს ბუხუსით მოცულ მომავალზე გვ. 8

ინტერვიუ პრეზიდენტობის კანდიდატ გია მაისაშვილთან გვ. 13

საქართველო – უკანასკნელი საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში

ლეილა ცომაია

ნოემბრის დასაწყისის რევოლუციურ ქარიშხალგადავლილი საქართველო, თავისი არსებობის სახიფათო ზღვარზე დგას; თხუთმეწლიანი პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო კრიზისში მყოფ მოსახლეობას, მოთმინების ფიალა, უკვე პირთამდე აქვს აღვსილი და 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში დიდი ძალისხმევით ინარჩუნებს სიმშვიდეს.

შევარდნაძე-სააკაშვილისეულმა ანტისახელმწიფოებრივმა და ანტიხალხურმა პოლიტიკამ სასოწარკვეთილ მასებს თვითგადარჩენის ინსტიქტი გაუმძაფრა. 2 ნოემბერს, ეროვნული საბჭოს მიერ ორგანიზებულ მიტინგზე, პარლამენტთან, ასორმოცდაათი ათასი ადამიანი მივიდა და საძულველი ხელისუფლების დამხობა მოითხოვა. ისინი მზად იყვნენ შიშველი ხელებით შევარდნილიყვნენ პარლამენტსა და კანცელარიაში. მიტინგის ორგანიზატორებს (ხაინდრავა, თორთლაძე, დავითაშვილი,

გაგრძელება მე-2 გვ.

დასაწყისი 1 გვ-დან გამსახურდია, წერეთელი, ბერძენიშვილები, უსუფაშვილ-ხიდაშელი და სხვ.) ხალხის შეკავება უჭირდათ.

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ ხალხი არ იყო ორიენტირებული რომელიმე ლიდერზე, არამედ გაერთიანებული საპარლამენტო და არასაპარლამენტო პოლიტიკური ოპოზიცია მათთვის წარმოადგენდა საკუთარი პროტესტის საჯაროდ და ერთობლივად გამოხატვის საშუალებას და რეალურ ძალას მტარვალი ხელისუფლების დასამხობად. მართალია, ხალხი ოპოზიციის მოწოდებით გამოვიდა ქუჩაში, მაგრამ იმავე ხალხის აბსოლუტურ უმრავლესობაში არ იყო კეთილსანდოობითი განწყობა ოპოზიციის ძველი და ცნობილი სახეების მიმართ (ბერძენიშვილები, ხაინდრავები, ნათელაშვილი, ბაღათურია, ძიძიგური, დავითაშვილი, თორთლაძე და სხვ.), რომელთა „ოპოზიციონერობა“ მოტივირებულია პარლამენტსა თუ მთავრობაში კვლავაც და კვლავაც მოსვლის ამბიციითა და პრივილეგიების ხიბლით, რასაც ხალხი იოლად ხვდება.

ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია ამ ოპოზიციონერთა დამოკიდებულება ჭეშმარიტ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებისადმი, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ცარიელი ენთუზიაზმითა და უანგარო თავგანწირვით ვებრძოდით საბჭოურ თუ ნეოსაბჭოურ რეჟიმებს.

მოგვაქციეს რა პერმანენტულ საინფორმაციო ბლოკადასა და სისტემურ ეკონომიკურ წნეხში, ასპარეზი მისცეს აგენტურულ პოლიტიკურ კვაჭებს, რომლებიც, აგრეთვე სიტყვას, არათუ გვაძლევდნენ მიტინგებზე, არამედ, არცთუ მიკროფონის სიახლოვეს გვაკარებდნენ ვისმეს, ვინძლო, ჩვენს გამოჩენას, გულისხმაში არ ჩაეგდო ხალხი.

ამადაც, საკუთარ პერსონებს, როგორც უალტერნატივო ძალას კალეიდოსკოპური სიხშირით ჩრიდნენ ხალხს.

ამგვარ პოლიტიკურ სპექტრში შედარებით ახალ პოლიტიკურ ლიდერთა – გია მაისაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, სალომე ზურაბიშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის წარმოჩენა, – ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის, დიდად საიმედო პერსპექტივას ვერ ქმნის. მაისაშვილის გაპრეზიდენტების შემთხვევაში შესაძლებელია ქვეყნის ეკონომიკური დონის ამაღლება და ისიც მეორე საპრეზიდენტო ვადაში, ხოლო გაჩეჩილაძის შემთხვევაში – პრეზიდენტის ერთპიროვნული და უზურპატორული ინსტიტუტის, საპარლამენტო მმართველობით შეცვლა, რაც უდავოდ დააახლოვებს ხალხს ხელისუფლებასთან და ხელისუფლებას ხალხთან, რაც შედარებით უკეთესი თანაარსებობის პირობებს შექმნის.

მაგრამ ესეც – დემოკრატიული არჩევნების ჩატარების შემთხვევაში. დემოკრატიული არჩევნების ჩატარების გარანტია კი, სააკაშვილის ნაცუმრავლესობის მმართველობის პირობებში, უბრალოდ არ არსებობს! ამასთანავე, არ უნდა დავივიწყოთ 7 ნოემბერი, რაც „რკინის ხელის“ ხისტი დემონსტრირება იყო.

7 ნოემბერს, სააკაშვილის კაცთმოძულე, პარანოიდმა ხელისუფლებამ გაწირა გაზით მოწამლული ათიათასობით ადამიანი; ყოველი რეჟიმი, როდესაც მსგავს სადამსჯელო ოპერაციას ატარებს, ვალდებულებას იღებს სამედიცინო დახმარება მაინც აღმოუჩინონ დაშავებულებს და ამისათვის წინასწარ ამზადებენ საავადმყოფოებს. სააკაშვილის რეჟიმი კი, პარლამენტის შენობასთან ისედაც არასაკმარისად მობილიზებულ სასწრაფო დახმარების მანქანების მედპერსონალებს, რაციებით აძლევდა განკარგულებას, მოწამლულები საავადმყოფოებში აღარ მიეყვანათ. როდესაც პირადად მე და ჩემი 14-16 წლის ძმისშვილები (სალომე და ფიქრია ცომაიები) პარლამენტის ტერიტორიიდან სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გადავყავდით, რაციით ისმოდა ბრძანება: „აღარავინ მიიყვანოთ საავადმყოფოებში!“ ჩვენ მაინც მიგვიყვანეს, თუმცა ჩინოვნიკთა ულმობელი ბრძანება იქაც დაგვხდა (მე-2 საავადმყოფო), რის გამოც ექიმები არ გვიღებდნენ. სასწრაფოს ექიმების პროფესიული ჩარევით მაინც მიგვიღეს. მისაღებში კი ყვირილით შემოვარდა ვიღაც უშიშროების თანამშრომელი: „ხომ გითხარით, აღარავინ მიიღოთ-თქო!“

მართალია, ექიმებმა, მაშინვე აღარ გამოგვყარეს, მაგრამ რამდენიმე საათში „გაწერის უფლება“ მოგვცეს. მოწამლულთა რეგისტრაცია მხოლოდ ფარატინა ქაღალზე ხდებოდა და არა მიღების ჟურნალში, არ ჰქონდათ საკმარისი და საჭირო მედიკამენტები და არც საკმარისი თეთრეული. ჩინოვნიკთა უხეში ჩარევითაც ექიმები, ერთობ დაბნეული, დამფრთხალი და შეურაცხყოფილებიც ჩანდნენ.

სააკაშვილის ანტიხალხური ხელისუფლება, რომლის ყველა წევრი, ხალხის უკიდურესად გაღატაკების ხარჯზე გაზულუქდა და გამდიდრდა, ფარისევლურად ზრუნავს გაღატაკებულებზე: „სოციალურად დაუცველ ფენებს“ განაკუთვნებს რა პენსიონერებს, მასწავლებელებსა და სიღატაკის პროგრამაში ალალ-ბედად მოხვედრილ მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილს, ურიგებს პოლისებს, ვაუჩერებს, ფქვილს. 18 წლიდან 60 წლამდე ასაკის უმუშევართა მრავალმილიონიანი (80%) არმია კი სრულად მივიწყებული ჰყავს. მათზე არ ვრცელდება არანაირი დახმარების პროგრამა. თუმცა, ეს სოლიდური უმრავლესობა, საპრეზიდენტო არჩევნების წინ მაინც გაახსენდათ და „დასაქმების სახელმწიფო პროგრამა“ გამოაცხადეს, რაც, თითქოს, 150 000-მდე უმუშევართა დასაქმებას ითვალისწინებდა, მაგრამ ეს „პროგრამაც“ სააკაშვილის პოლიტიკური აფიორა აღმოჩნდა; არაოფიციალური ინფორმაციით, მთელი საქართველოს მასშტაბით, რეალურად, მხოლოდ 10 000-მდე უმუშევარი დასაქმდა და არ არის გამორიცხული, რომ საპრეზიდენტო არჩევნებიდან ორი თვის შემდეგ ისინიც კვლავ უმუშევრები დარჩნენ.

პრეზიდენტობის კანდიდატთა მრავალრიცხოვან სპექტრში ყურადსაღებია ერთადერთი ქალის და ისიც ირინა სარიშვილის კანდიდატურა, რომელიც რუსეთის სრულად გამჟღავნებული კადრია.

საქართველოს არ ეღირსა „ლუსტრაციის კანონი“, რომ სამთავრობო ეშელონებსა და პოლიტიკურ ასპარეზზე აღარ ბოგინობდნენ სარიშვილის მსგავსი აგენტურული ძალები, რათა საქართველო დაცული იყოს შეთქმულთა მადესტაბილიზებელი ხროვისაგან.

სარიშვილი კი, როგორც 1991-93 წლების სახელმწიფო დამნაშავე, რომელმაც საკუთარი ქმარიც (გია ჭანტურია) შეთქმულებით გაწირა (ჩვენ რომ სამართლებრივი და ღირსეული ქვეყანა ვიყოთ), დღემდე ციხის გისოსებში უნდა გვყავდეს გამომწყვდეული.

მოღალატეთა, შეთქმულთა და გამცემთა კასტა 1917 წლიდან 1990 წლამდე განაგებდა ჩვენი ქვეყნის ბედს და ამიტომაც ვერ ეღირსა ჩვენს ქვეყანას ფეხზე წამოდგომა. ამ აგენტურულმა ხროვამ, ირინა სარიშვილის ჩათვლით, დაამხო ზვიად გამსახურდიას ჭეშმარიტად ეროვნული მმართველობა და კვლავ თავად მოექცა ხელისუფლების სათავეში. ჩვენ კი დღესაც მათი შენდობისა და მიტევებისაკენ მოგვიწოდებენ.

„ვაი მას, ვინც ერთხელ შეუნდობს მოღალატესა და გამცემს“ – ბრძანებს დიდი კონსტანტინე, ხოლო უფრო მკაცრი და იმპერატიულია ჰაინრიხ ჰაინე: „მოღალატეს მიეტევება მაშინ, როცა ჩამოახრჩობენ!“

ორივე მაქსიმაში დომინანტია მაგალითის ძალის მორალი და არა შიშველი ულმობლობა.

5 იანვრის არჩევნები, საქართველოსთვის, მნიშვნელოვანია იმით, რომ ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთოს ისეთ კანდიდატზე, რომელიც ახალარჩეულ საკანონმდებლო ორგანოში (პარლამენტში) წარსდგება საკონსტიტუციო ცვლილებით – საპრეზიდენტო ინსტიტუტის საპარლამენტო მმართველობით შეცვლის შესახებ.

საპარლამენტო მმართველობა კი იმით არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რომ იგი, თავისთავად შეასუსტებს სუპერ-სახელმწიფოთა ლიდერების პოლიტიკურ გავლენებს საქართველოს ხელისუფლებაზე. ეს კი, მეტნაკლებ შესაძლებლობას შექმნის განვახორციელოთ საკუთარი ქვეყნისა და ერის ინტერესების შესაბამისი დამოუკიდებელი პოლიტიკა.

არჩევანი ჩვენზეა. „ყოველ ხალხს ის ხელისუფლება ჰყავს, როგორსაც იმსახურებს“ (ჰეგელი).

იქნებ დავიმსახუროთ უკეთესი ხელისუფლება ჩვენი სწორი არჩევანითა და არჩევანის უკომპრომისო დაცვითაც.

„თავზარდამცემი და შოკისმომგვრელია ზვიად გამსახურდიას შვილების ჯაშუშობაში მხილება...“

1-7 ნოემბრის ცნობილი საპროტესტო გამოსვლების შემდგომ, ტელევიზიებით სისტემატურად ვრცელდებოდა კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიების სატელეფონო საუბრები და ვიდეოკადრები რუსეთის საელჩოს დიპლომატ ვოლინკინთან, რომელიც, როგორც გაცხადდა, თურმე რეალურად რუსეთის ოფიციალურ საიდუმლო სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელს წარმოადგენს საქართველოში.

სააკაშვილის ანტიეროვნულ-დიქტატორული ხელისუფლება ისეთი „დემოკრატიული“ სიმშვიდით ხვდებოდა პოლიტიკური ოპოზიციის ქადილსა და სამზადისს 2 ნოემბრის საპროტესტო გამოსვლებთან დაკავშირებით, სავარაუდო იყო, რომ რაღაც ვერაგული დარტყმა ჰქონდა ჩაფიქრებული.

ერთკვირიანი მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგების მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან, არ ჩანდა ნება ოპოზიციასთან პოლიტიკურ დიალოგზე და კომპრომისზე წასვლისა, რამაც აიძულა ოპოზიცია პოლიტიკური ბრძოლის უფრო ეფექტური მეთოდისათვის მიემართა. პარლამენტის წინ დაედგათ კარვები და დაეწყოთ მასობრივი საპროტესტო შიმშილობები უკვე პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. მანამდე კი, ოპოზიცია მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების გაზაფხულზე ჩატარებას ითხოვდა.

იმისათვის, რომ არ დაეშვა მასობრივი საპროტესტო შიმშილობის აქცია, სააკაშვილის ხელისუფლება გადავიდა ფორსირებულ პრევენციულ ქმედებებზე: პოლიციისა და შინაგანი ჯარით დაშალა პარლამენტის წინ შეკრებილი მომიტინგეები, რომელთა წინააღმდეგ გამოიყენა რეზინის ტყვიები, რეზინის ხელკეტები, წყლის ჭავლი და გაზის ბალონები, დაიჭირეს ათეულობით მომიტინგე. შინაგანი ჯარი შევარდა ოპოზიციურ ტელეკომპანია „იმედში“, დაარბია და გათიშა ტელემაუწყებლობა, ასევე გათიშა ტელეკომპანია „კავკასიის“ მაუწყებლობაც, ხოლო ტელეარხებით: „რუსთავი 2“, „საზოგადოებრივი ტელეკომპანია“ და „მზე“ გააჩაღა კომპრომანტების ომი ოპოზიციონერ ლიდერთა წინააღმდეგ: ლევან ბერძენიშვილის, შალვა ნათელაშვილის, გოგა ხაინდრავას, კონსტანტინე გამსახურდიასა და სხვათა.

თუ ჩვენთვის და ვფიქრობთ საზოგადოებისთვისაც დიდად მოულოდნელი არაფერი ყოფილა – ნათელაშვილის, ხაინდრავასა და ბერძენიშვილის აგენტობაში, სამაგიეროდ შემაძრწუნებლად მტკივნეული და თავზარდამცემი იყო ზვიად გამსახურდიას შვილების, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიების ჯაშუშობაში მხილება და ისიც რუსეთის სასარგებლოდ (?!).

სწორედ ამ შოკური მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით ავიღეთ ინტერვიუ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასაგან:

– ბატონო კონსტანტინე, როგორ შეაფასებდით 1-7 ნოემბერს.

– ეს იყო საერთო-სახალხო მოძრაობის ძალისხმევა, რომ ხელისუფლებას მიეღო დემოკრატიული საარჩევნო კანონი, რითაც შესაძლებელი გახდებოდა სამართლიანი არჩევნების ჩატარება და არსებული ხელისუფლების მშვიდობიანად, არჩევნების გზით შეცვლა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ უკანასკნელ წლებში დამკვიდრდა ხელისუფლების ძალადობით შეცვლის პრეცენდენტები, რაც მომაკვდინებელია სახელმწიფოსთვის და ამდენად არანაირად არ შედის ჩვენს ინტერესებში. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ უხეში და ბარბაროსული მეთოდების გამოყენებით ჩაახშო ჩვენი დემოკრატიული მშვიდობიანი გამოსვლები, მან ვერ გატეხა ქართველი ხალხის ნება.

– პარლამენტის წინ მიმდინარე მიტინგებზე, ორგანიზატორთა მხრიდან (თორთლაძე, ხაინდრავა, დავითაშვილი), რაოდენობრივი თვალსაზრისით, ხშირად ხდებოდა პარალელებისა და ანალოგიების გავლება ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავასა და მათ შემდგომაც მოქმედ ეროვნული მოძრაობის საპროტესტო მიტინგებთან. იყო საკუთარი პერსონების და უპირატესობის წარმოჩენის, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან გაიგივების მკრეხელური მცდელობა, რაც ჩვენში ირონიულ ღიმილს იწვევდა.

– ეს მათი პირადი აზრია და ძალიან გთხოვთ მე ნუ მომაწერთ, თუმცა ეს აქციები ერთი რამით ნამდვილად ენათესავებოდა 80-იანი წლების ეროვნული მოძრაობის აქციებს. კერძოდ, 1988 წლის ეროვნული მოძრაობის მიტინგებს მაშინდელი უზენაესი საბჭოს შენობასთან დემოკრატიული საარჩევნო კანონის მოთხოვნით, რომელიც ორგანიზებული იყო ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კსტავას მიერ. გეთანხმებით, რომ იქ, მავანი ლიდერების მხრიდან იგრძნობოდა სურვილი თავი გაეიგივებინათ და წარმოეჩინათ ახალი ეროვნული მოძრაობის ლიდერებად, რომლის წარმმართველ ფიგურად ირაკლი ოქრუაშვილის ქცევა სურდათ, რასაც მე კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი, ვინაიდან თითოეული მათგანის ზურგზე არის მათი წარსული და მათი ბიოგრაფიები.

– და არც რაოდენობრივი თვალსაზრისით იყვნენ ისინი ზუსტნი და ობიექტურნი. საცნაური გახდა, რომ ამ ახალგამოჩეკილ და თვითმარქვია ეროვნული მოძრაობის „ლიდერებს“ ერთიანად, ან მოკლე ისტორიული მეხსიერება აქვთ, ან დილეტანტები არიან, ან სულაც არაფერი იციან ეროვნული მოძრაობის შესახებ, რაც არცაა გასაკვირი, ისინი ხომ პოლარულად დაშორებული იყვნენ ამ მოძრაობას და მის იდეურ ღირებულებებსაც.

– გეთანხმებით და არაფერში გეწინააღმდეგებით, ოღონდ მინდა გითხრათ, რომ ჩვენს მიტინგებზეც მართლაც შთამბეჭდავი რაოდენობის ხალხი იყო.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენ ზუსტად ვერ გამიგეთ, ჩვენი პოლემიკის საგანს მარტო რაოდენობრიობა არ წარმოადგენს, არამედ – დრო და ვითარება, როდესაც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლიდერობით მოწყობილ საპროტესტო აქციების ჟამს არ არსებობდა მომიტინგეთა სიცოცხლის უსაფრთხოების გარანტიები ჯერ კიდევ არსებულ საბჭოთა იმპერიული რეჟიმის მხრიდან, ხოლო ზვიადისა და მერაბის შემდგომ შევარდნაძის ხუნტისტური რეჟიმის მიერ პირდაპირ იხვრიტებოდა მიტინგები და მანიფესტაციები, მაგრამ ხალხი, ორივე შემთხვევაში, მაინც გამოდიოდა რეჟიმის წინააღმდეგ და გამოდიოდა გაცილებით მეტი! სწორედ, რომ მკრეხელობაა დღევანდელი 1-7 ნოემბრის მიტინგების შედარება (რაოდენობრივი თვალსაზრისითაც კი) 1980-90-იან წლების მიტინგებსა და მანიფესტაციებთან იმ „მწვანე შუქის“ ფონზე, რითაც XXI საუკუნის ხელისუფლებამ ნამდვილად უზრუნველყო მომიტინგეთა უსაფრთხო მსვლელობა პარლამენტის შენობასთან.

– ჩემს მოსაზრებასა და თქვენს მოსაზრებას შორის პრინციპული წინააღმდეგობა არ არსებობს, მაგრამ მინდა განვაცხადო, რომ 90-იანი წლების ეროვნულმა მოძრაობამ, მიუხედავად თავგანწირული სულისკვეთებისა, მოკლევადიან შედეგს ვერ მიაღწია იმიტომ, რომ იგი არ იყო გაძღოლილი გამოკვეთილი ძლიერი ლიდერის მიერ, რომელიც მიაღწევდა კონსენსუსს შევარდნაძის ხელისუფლებასთან, – მასთან წავიდოდა არჩევნებზე და ამით მნიშვნელოვან წილად შეასუსტებდა მის მმართველობას პარლამენტში. ასეთი ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალა მაშინ, 90-იან წლებში არ არსებობდა, რომელიც ეფექტურად გამოიყენებდა შევარდნაძის ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილო ხალხის რესურსს.

– იცით, იმდენად რამდენადაც შევარდნაძის ხელისუფლება იყო ხუნტისტური, ეროვნული მოძრაობა და მისი ლიდერები დავდექით ბოიკოტის პლატფორმაზე დევნილობაში მყოფი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მოწოდებით, რითაც პოლიტიკურად შევასუსტეთ

უზურპატორი ხელისუფლების ლეგიტიმურობა, რაც იმ პოლიტიკურ ვითარებაში ყველაზე გამართლებული იყო. შემდგომ საარჩევნო პერიოდში კი ზვიადისტურმა ბლოკმა „XXI საუკუნემ“ ბატონ ვახტანგ ბოჭორიშვილის ლიდერობით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა, მაგრამ ამ პოლიტიკურმა ექსპერიმენტმა თითქმის ვერაფერი მოგვიტანა, არც მაშინ და არც შემდგომაც.

– ეს იმიტომ, რომ არ არსებობდა კონსენსუსი ეროვნულ-პოლიტიკურ ძალებს შორის არჩევნების საკითხში, რამაც გავლენა

გაგრძელება მე-4 გვ.

მონარქიული მმართველობა – საქართველოს მომავალი

საქართველოს ისტორიულ-საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს, მონარქისტული მოძრაობა „სამეფო გვირგვინის“ თავკაცების, ბატონ კოტე ჩოლოყაშვილისა და ქალბატონ ია ბაგრატიონ მუხრანელის ორგანიზებით წმიდა სამების საკათედრო ტაძრის ქვედა დარბაზში ჩატარდა მე-II ეროვნული კონფერენცია საქართველოს კონსტიტუციურ-მონარქიული მოწყობის თაობაზე.

კონფერენცია გახსნა უწმიდესმა და უნეტარესმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

კონფერენციას უძღვებოდნენ ბ-ნ კოტე ჩოლოყაშვილი და ქ-ნ ია ბაგრატიონ-მუხრანელი.



კონფერენციაში მონაწილეობდნენ წარმომადგენლები მთელი საქართველოდან და დარბაზი იყო მრავალრიცხოვანი. დარბაზის უმრავლესობას შეადგენდა წარჩინებულ გვარის თვალსაჩინო წარმომადგენლები, დიდგვაროვნები და მეფის შთამომავლები. კონფერენციაზე წაკითხული იქნა ილია ჭავჭავაძის დისშვილის გენერალ კოტე ურთა საგანგებო I კრებაზე: „მე წარმოვდექი თქვენს წინაშე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის დავალებით, რათა გაუწყოთ თავად-აზნაურთა ყრილობის დადგენილება ღვინობისთვის 29 დღისა. ამ დღეს გადაწყდა, რომ მთელი თავად-აზნაურობის ქონების ღირსეულ მემკვიდრედ გამოცხადებულ იქნას ქართველი ერი. ეს ქონება არ იყო მამა-პაპის მიერ შთამომავლობით დატოვებული, არამედ იყო თავად-აზნაურობის მიერ შენაძენი ამ ორმოცდაათის წლის განმავლობაში“. ამ სიტყვებით კოტე აფხაზმა ეროვნულ საბჭოს გადასცა ილიას ბანკის შენაძენი ქონება 26 მილიონი ოქროს მანეთის ღირებულების, რაც საფუძვლად დაედო საქართველოს დამოუკიდებლობას.

„ეროვნული, ანუ, სეპარატისტული, ტირანული“

აფხაზის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა 1917 წლის 28 ოქტომბერს თავადაზნაურთა საგანგებო I კრებაზე:

სამების საკათედრო ტაძრის დარბაზში ჩატარებული კონფერენცია დასრულდა კონსტიტუციურ მონარქიაზე საქართველოს სამომავლო მოწყობის ფიქრით.

დასაწყისი მე-3 გვ-დან

იქონია შედეგებზე.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენი გადაწყვეტილებაა, რომ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში კოალიციური ბლოკით იყაროთ კენჭი, როგორ ფიქრობთ, ეს არ შექმნის საარჩევნო კრიზისს, ანუ ამომრჩეველს არ უსპობთ თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას?

– რას გულისხმობთ?

– ვგულისხმობ იმას, რომ დგება იდეოლოგიური კუთვნილების პრობლემა. მაგალითად, ვიღაცას სურს თქვენ მოგცეთ ხმა, მაგრამ არამც და არამც არ სურს პარლამენტში კვლავ ბერძენიშვილების, ნათელაშვილების, ხაინდრავებისა და სხვა, ძველი სახეების მოყვანა. ამ შემთხვევაში იძულებული ხდება ერთიანად გადახაზოს საარჩევნო ბიულეტენი.

– ჩვენ შევიმუშავეთ პარლამენტში მოსვლის ერთიანი თამაშის წესი, ხანმოკლე თანაარსებობის გეგმით, რომელიც პარლამენტში გაგრძელდება დაახლოებით ექვსი თვე, შემდგომ ჩვენ ჩვენი იდეოლოგიური კუთვნილების მიხედვით ჩვენი დამოუკიდებელი გზით გავაგრძელებთ არსებობას პარლამენტში.

– გულისხმობთ ფრაქციების შექმნას?

– დიახ.

– მაგრამ თქვენს ამომრჩეველს, რომ არ სურს საკუთარი ხელით, თუნდაც თქვენს გამო მოიყვანოს პარლამენტში სხვა მისთვის იდეოლოგიურად მიუღებელი პიროვნებები? აშკარად იქმნება საშიშროება თქვენი ამომრჩევლის დაკარგვისა და მე, როგორც პოლიტიკოსი პოლიტიკოსს გთხოვდით, სერიოზულად გაისიგრძეგანოთ ეს პრობლემა.

– თუ „კოალიციური ბლოკი“ უმრავლესობით მოვედით პარლამენტში , 3-4 თვეში მოვახდენთ ამ სტრუქტურის დემონტაჟს, ანუ ვაუქმებთ საპრეზიდენტო მმართველობას, შემოგვაქვს საპარლამენტო მმართველობა და ინიშნება ახალი საპარლამენტო არჩევნები, ასეთია გეგმა, თუ რა თქმა უნდა, ჩვენს შორის არ მოხდა პირობის დარღვევა და არ მოგვატყუა რომელიმე ძალამ.

– რაც გამორიცხული არ არის...

– დიახ, გამორიცხული არაფერია. ჩვენ ვაცნობიერებთ იმას, რომ მარტონი ვართ, ვეძებთ პოლიტიკურ პარტნიორებს, რაც არსებულ პოლიტიკურ სპექტრში იოლი მოსაძებნი არ არის. არადა, პარტნიორების გარეშე ურთულესია სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი, არ არსებობს სახსრები, არც პოლიტიკური რესურსი.

– ახლა ყველაზე მტკივნეულ თემაზე, – ბატონო კონსტანტინე... თავზარდამცემი და შოკისმომგვრელია ზვიად გამსახურდიას შვილების ჯაშუშობაში მხილება და ისიც რუსეთის სასარგებლოდ! რა არის იმ ტელერეპორტაჟებში მართალი და რა არის შეთითხნილი?

– ეს თავიდან ბოლომდე არის ბინძური ცილისწამება და ფაბრიკაცია. გამსახურდიების ოჯახი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მიჩვეულია ამგვარ ცილისწამებებს. მიხეილ სააკაშვილს, რომელიც არის დამკვეთი ამ სიბინძურეებისა, ნუ ეგონება, რომ ამით შეგვაშინებს. ამაზე იმუნიტეტი გვაქვს. მე ვხვდებოდი და მომავალშიც შევხვდები დიპლომატებს. ჩვენ დიპლომატების ბიოგრაფიებს, მათთან შეხვედრის წინ მაგიდაზე არავინ გვიდებს. სხვათა შორის, იმ ხსენებულ დიპლომატთან შეხვედრის შედეგად მე მივიღე როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც შეეხება ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებებს. ამ დასკვნაში ერთაზროვნად წერია, რომ იგი არის მოკლული, რომელიც აბათილებს საქართველოს ხელისუფლების ვერსიას, რომ თითქოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, რითაც ხელს აფარებს მკვლელებს. სააკაშვილის ხელისუფლებაც იმეორებს ამ ვერსიას და არ იჩენს სურვილს ამ ისტორიული მოვლენის გამოძიებისა. როსტოვის ექსპერტიზის ეს დასკვნა მე ჩავრთე ჩვენს მიერ გადაღებულ ორნაწილიან ფილმში „დინების საწინააღმდეგოდ“, რომლის მეორე ნაწილი გავიდა „იმედის“ ტელეეთერით 7 ნოემბრამდე. ის დიპლომატი, რომელზეც ლაპარაკია (ვოლინკინი), იყო ზვიად გამსახურდიას იჩქერიიდან გადმოსვენების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ბუნებრივია, მას ჰქონდა გარკვეული ინფორმაციები.

– ბატონო კონსტანტინე, ვიდეო-ფირში ნათლად ჩანს, რომ თქვენ ვოლინკინს შეხვდით კოლხურ კოშკში თქვენს ძმასთან, ცოტნესთან ერთად... თქვენ ადასტურებთ ამას, თუ ფირი ფაბრიკაციაა?..

– კოლხური კოშკი არის ადგილი, სადაც მე დავიბადე და გავიზარდე. ადრე მე მიკიჟინებდნენ, რომ ჩემს ნახევარძმებთან არა მაქვს კარგი ურთიერთობა. მამაჩემის დაკრძალვის შემდეგ მე ძმებთან შევინარჩუნე ურთიერთობა და ხშირად მივდიოდი ხოლმე კოშკში ცოტნესთან. ერთ-ერთი მისვლის დროს მე იქ დამხვდა ეს ვოლინკინი, რომელმაც ცოტნეს თანდასწრებით გადმომცა ხსენებული როსტოვის ექსპერტიზის დასკვნა.

– თქვენ, სანამ მიხვიდოდით ცოტნესთან კოლხურ კოშკში, იცოდით, რომ იქ დაგხვდებოდათ ვოლინკინი და მანამდე იცნობდით ამ პიროვნებას?

– მე მანამდე არ ვიცნობდი მას, არამედ ეს ჩემი პირველი შეხვედრა იყო მასთან. წინასწარ, არც მისი ცოტნესთან მისვლის შესახებ ვიცოდი. მე იგი მისული დამხვდა. შეიძლება იგი დაინტერესებული იყო ჩემთან შეხვედრით.

– ბატონო კონსტანტინე, თქვენი აზრით, რატომ უნდა წვეოდა რუსეთის დიპლომატი თქვენს ძმას საკუთარ სახლში, რითი უნდა ყოფილიყო ცოტნე ესოდენ პატივდებული რუსი დიპლომატისაგან, როდესაც ცოტნე არ წარმოადგენს არანაირ ოფიციალურ ფიგურას და არც პოლიტიკურ მოღვაწეს, არც უფლებადაცვით რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციას. რა ურთიერთობა შეიძლება ჰქონდეს მას საელჩოს დიპლომატთან?

– იცით, გარდა დიპლომატიური ურთიერთობისა, არსებობს ადამიანური ურთიერთობები. დიპლომატებიც ადამიანები არიან და გააჩნიათ ადამიანური ურთიერთობები საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. ეს ურთიერთობა, ჩემის აზრით, იწყება ზვიად გამსახურდიას გადმოსვენებიდან, რაც გაგრძელდა, ჩემის აზრით... მე ვფიქრობ, რომ მათ შორის პირადი ურთიერთობის გარდა, არაფერი არ უნდა იყოს. მე ასე ვფიქრობ.

– ბატონო კონსტანტინე, თუ იცით რა საქმიანობას ეწევა ცოტნე მოსკოვში. როდესაც მას ქართველმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს თავისი მოსკოვური საქმიანობის შესახებ, მან დაკონკრეტებისაგან თავი შეიკავა.

– თუ არ ვცდები, იგი ბიზნესშია, საშუამავლო ბიზნესში, რადგან საქართველოში ზვიად გამსახურდიას შვილებისათვის (მათ შორის ჩემთვისაც) შესაფერისი სამსახური არ აღმოჩნდა.

– ბატონო კონსტანტინე, საზოგადოებას ჰქონდა მოლოდინი, რომ თქვენ წამოაყენებდით საკუთარ კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნებში. რით აიხსნება თქვენი თავშეკავება.

– „ეროვნულ საბჭოში", როდესაც იხილებოდა ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატურის საკითხი, მე დავასახელე ჩემი პიროვნება, მაგრამ ჩემი კანდიდატურა კოალიციური თანამებრძოლების მხრიდან არ იქნა მხარდაჭერილი.

– გმადლობთ ინტერვიუსთვის.

ესაუბრა
ლეილა ცომაია

„რეფორმირებული“ სკოლის პრობლემები

გიორგი ამაშუკელი
განათლების ეროვნული კავშირის თავმჯდომარე
მასწავლებელთა თავისუფალი პროფესიული კავშირის თავმჯდომარე

2005 წლის 8 აპრილს მიღებულმა კანონმა „ზოგადი განათლების შესახებ“ კვაზი-სამართლებრივი ბაზისი შეუქმნა სკოლებში კონკრეტული დისციპლინების საფუძვლების ცოდნის მარტივი უნარ-ჩვევებით ჩანაცვლებას, პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის პოლიციური რეჟიმით ჩანაცვლებას, საგაკვეთილო პროცესის პროფანაციას. კანონმა სამეურვეო საბჭოს ფუნქციად განსაზღვრა: დირექტორებთან შრომითი ხელშეკრულებების დადება, სკოლის წესდებისა და შინაგანაწესის, სასწავლო გეგმებისა და გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის, სკოლის ბიუჯეტისა და წლიური ანგარიშის დამტკიცება, სკოლის ფინანსებისა და ქონების განკარგვა, სკოლის დისციპლინარული და სააპელაციო კომიტეტების არჩევა, ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებთან.დირექტორების ფუნქციად კი სკოლის მართვა და პედაგოგებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება განსაზღვრა.

საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების არჩევნებს სათოფე მანძილზეც კი არ მიაკარეს სამოქალაქო სექტორი – პროფკავშირები და არასამთავრობო ორგანიზაციები. არჩევნების ზედამხედველობა დაეკისრა სამინისტროს მიერ დანიშნულ კოორდინატორებს, რომელთა მითითებები სავალდებულო იყო შესასრულებლად. მეტიც, ამ კვაზი-არჩევნების შედეგების გადასამოწმებლად შექმნეს კომისია, რომელსაც სათავეში მინისტრის მოადგილე ბელა წიფურია ჩაუყენეს. წელიწადზე მეტი დრო გავიდა და ეს შედეგები პრესაში, არც კი დაიბეჭდა. თავად არჩევნები არ იყო ფარული, ბიულეტენის მაგივრად იყო ფარატინა ფურცელი, რომელიც ხელით ივსებოდა.

სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებს უფლება არ ჰქონდათ, შესულიყვნენ საარჩევნო უბნებში, შეემოწმებინათ ამომრჩეველთა სიები, საარჩევნო ყუთები, საარჩევნო ბიულეტენების გაცემის პროცესი, არ ჰქონდათ უფლება სასამართლოში გაესაჩივრებინათ საარჩევნო კომისიის ქმედება; საარჩევნო დარღვევების თაობაზე ჩივილი შეიძლებოდა მხოლოდ საარჩევნო ყუთის გახსნამდე და ისიც მხოლოდ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ან მდივნის, სამინისტროს მიერ წარმოგზავნილი დამკვირვებლის სახელზე და მხოლოდ მინისტრის მიერ დანიშნული კოორდინატორის მეშვეობით; სამაგიეროდ, დებულება გზას უხსნიდა საარჩევნო სუბიექტივიზმს, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს უფლება ჰქონდა ერთპიროვნულად შეეწყვიტა ან გაეგრძელებინა კენჭისყრა, დაეხურა ან გაეხსნა საარჩევნო უბანი; აღსანიშნავია ისიც, რომ საარჩევნო ყუთის გახსნაზე დასწრება მხოლოდ სამინისტროს მიერ წარმოგზავნილ დამკვირვებელს შეეძლო. დებულება უაღრესად „ორიგინალური“ იყო სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატთა მიმართ. მათი რეგისტრაციისათვის დადგინდა ერთ კვირიანი ვადა, მაშინ, როცა ამ კვირაში 3 დღე – 26, 27 და 28 მაისი – დასვენების დღეები იყო. ბევრმა პედაგოგმა და კიდევ უფრო მეტმა მშობელმა, ვერც კი მოასწრო საკუთარი კანდიდატურის წამოყენება. აბსურდულად მცირე იყო კანდიდატთათვის დადგენილი საარჩევნო კამპანიის დრო – 4 დღე, საიდანაც 2 დღე – 3 და 4 ივნისი, ასევე დასვენების დღეები იყო. ორ დღეში კანდიდატებს უნდა დაემზადებინათ ფოტო და ბეჭდური მასალები და გაევრცელებინათ კიდეც. ნათელია, რომ ასეთ მცირე დროში არანაირი საარჩევნო კამპანია არ გაიმართებოდა, მეტიც, დებულება არ ავალდებულებდა კანდიდატებს საკუთარი საარჩევნო პროგრამების ქონას. ამომრჩეველს არ ჰქონდა საშუალება დაენახა კონცეპტუა-



აი, ეს სატანისეული სიფათი წარმოადგენს დღევანდელი ანტიეროვნული ხელისუფლების განზოგადებულ სახეს – **მიხეილ ჩაჩუა**

ლური განსხვავება კანდიდატთა შორის. ეს არც იყო არჩევნები, რადგან არჩევანის გაკეთების, არც თეორიული და არც პრაქტიკული შანსი არ იყო, ასარჩევი არა იყო რა. ამ უსამართლო „წესით“ საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოს წევრების „არჩევნები“ არაფრით განსხვავდებოდა საბჭოთა კოლმეურნეობების გამგეობების „არჩევნებისაგან“. ფარული ნომენკლატურული შერჩევითა და ფარული ადმინისტრაციული დანიშვნით ჩამოყალიბდა შიმშილის დისციპლინაზე დამყარებული ანტისოციალური შრომის იძულების ორგანოები, რათა მათი მეშვეობით პედაგოგებზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებზე გახორციელდეს ორგანიზებული და კონცენტრირებული სოციალური ძალადობა. და ეს გახორციელდა საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური თავისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის უფლებების ხელყოფის გზით.

ის რომ საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოები, რეჟიმის მიერ, მხოლოდ უტყვ ინსტრუმენტად განიხილებოდა, დადასტურდა მათთვის იდეოლოგიური და მეთოდურ-ორგანიზაციული აღმზრდელის მიჩენით; ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტმა“ სამეურვეო საბჭოებისთვის 50 „ტრენერი“ მოამზადა, რომელთაც თავის მხრივ „მოამზადეს“ თითო-თითო პედაგოგი და მშობელი საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოებიდან. ამ ორგანოებზე იდეოლოგიური და ორგანიზაციული კონტროლის ნიმუშია მათთვის გამოცემული ე.წ. „გზამკვლევი სამეურვეო საბჭოებისთვის (დირექტორების არჩევნები)“. რეჟიმმა „იზრუნა“ რა თვითმმართველობაზე, თავისი ყურადღება, არც დირექტორების „კონკურსს“ მოაკლო. მინისტრის 2006 წლის 13 ნოემბრის 929 ბრძანებით დაამტკიცა დებულება „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“. კონკურსს სათოფეზეც კი არ მიაკარეს მინისტრის პოლიტიკის რადიკალური ოპონენტები. კონკურსი მხოლოდ სიმულაცია იყო, რადგან კონკურსანტს, რაც უნდა მაღალი ქულა მიეღო, მისი ბედი მაინც „გასაუბრებაზე“ წყდებოდა, გამოცდების შედეგების რევიზია ამ გასაუბრებაზე ხდებოდა, მაშინ, როცა არ იყო დადგენილი მისი თემატიკა, პროგრამა, შეფასების კრიტერიუმები, წესი და რიგი.

ეს იყო ბიუროკრატიული ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის მიერ კონკურსანტის მოქალაქეობრივი ღირსებისა და აკადემიური ცოდნის აბუჩად აგდების ასპარეზი. ამ ფაქტორმა ბევრი ადამიანი ჩამოაცილა დირექტორთა კონკურსს და არ მისცა საშუალება პატიოსან და გამჭვირვალე შეჯიბრში საკუთარი პროფესიული თვისებების წარმოჩენისა. იმდენად დიდი იყო რეჟიმის მხრიდან ამ კონკურსის ტოტალური კონტროლის სურვილი, რომ არ გამოსცა არავითარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რათა გასაუბრების კომისიები შექმნილიყო ყველა საკონკურსო ტერიტორიულ ერთეულში, არამედ ამგვარი კომისიები მხოლოდ თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში შეიქმნა.

დიდი ვაი-ვაგლახით, ორ ეტაპად „გადანაწილდა“ დირექტორები. ამისთვის გამოიცა 2007 წლის 25 ივლისის №543 ბრძანება „სამეურვეო საბჭოების დირექტორობის კანდიდატების საჯარო სკოლებში წარდგენის შესახებ“. რატომ გაკეთდა ასე? მხოლოდ იმიტომ, რომ სამართლებრივი დერეგულაციის, არაფორმალური შრომისა და ეკონომიკური იმპერატივების სოციალურთან დაპირისპირების პირობებში, შეიძლება ადამიანის პატაგონური ექსპლუატაცია. ფსიქოლოგიური და იდეოლოგიური მანიპულაციებით, პოლიციური რეპრესიებით დათრგუნული, დეზორგანიზებული და დეზორიენტირებული ადამიანთა კონგლომერატი. აი, რას ემსახურება დღეს სააკაშვილის რეჟიმის მიერ გატარებული პოლიტიკა. სკოლის ქარვასლით და პედაგოგის პოლიციელით ჩანაცვლებით, ლიბერალური ფუნდამენტალიზმის დიქტატურის ფუნქციონერები ცდილობენ ჩვენს ქვეყანაში შექმნან სოციალური აპარტეიდისა და ეკონომიკური კასტების სისტემა. გლობალურ კონგლომერატში საქართველოს ეკონომიკური, ხოლო შემდგომ პოლიტიკური ანექსია.

აი, ის სტრატეგიული მიზანი, რასაც ემსახურებიან ტრანსნაციონალური კაპიტალის კლიენტები. მათი განათლების „რეფორმა“ სხვა არაფერია თუ არა ქართველი ერის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ცოდნის წართმევა.

იმპერია თუ ხალიფატი?

(ფუნდამენტალისტების ომი და ქართული სტრატეგია)

დავით არაბიძე

დღეს ომია, მძაფრი ომი ლიბერალურ ფუნდამენტალიზმსა და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის.

ლიბერალური ფუნდამენტალიზმის დოგმაა „ბაზარი ღმერთია“ ისლამი კი პირდაპირ კრძალავს მევახშეობას. იმპერიალიზმს მოწინააღმდეგე დიდხანს არ უძებნია, ლიქერალურმა და ისლამურმა ფუნდამენტალიზმმა იწყეს ბრძოლა, იდეოლოგიური, ხოლო შემდგომ შეიარაღებული ბრძოლაც. რატომ მაინც და მაინც მათ შორის დაიწყო ეს ანტაგონისტური ომი?

აბდელ ჰამიდ ჯავდათის (არაბი თეორეტიკოსი) განცხადებით „ისლამი თითოეულს უტოვებს მის კაპიტალს და თავისუფლებას ისარგებლოს საკუთარი შრომის ნაყოფით, იმ პირობით, რომ არც ერთი საზოგადოებრივი კლასი არ იქნება დათრგუნული და ექსპლუატირებული. ესაა თანასწორობის სოციალიზმი“. აქვე თუ დავუმატებთ იმავე პერიოდში მოქმედ ფრანგ თეორეტიკოსის როჟე გაროდის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ყურანი იწონებს სოციალისტურ პრინციპებს და მათში მორალისა და მართლწესრიგის საფუძვლებს ხედავს, სოციალიზმში კი ყურანის სულისკვეთების საწინააღმდეგო პრინციპები არაა“. გასაკვირი არაა, რომ ლიბერალურმა ფუნდამენტალიზმმა ყველაზე დიდ საფრთხედ ისლამი დაინახა და მევახშეობის მდევნელი ისლამი სამიზნეში ამოიღო.

ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე გააფთრებული ბრძოლების ფონზე, სწორი სტრატეგია საქართველოს ხსნისთვის აუცილებელია.

ლიბერალური ფუნდამენტალიზმის ანტისოციალური სახე და დამანგრეველი პოლიტიკა, ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკური ანექსია, სამხედრო ინტერვენციები და მარიონეტული რევოლუციები დაგმო ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ ღია წერილში „საქართველოს ტელევიზიას“. 1992 წელს დევნილობაში მყოფი, მაგრამ მებრძოლი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აცხადებდა:

„ახლა კარგად გავერკვეთ თუ რას ნიშნავს დასავლური ორიენტაცია. ზოგიერთს დასავლური ორიენტაცია ჰგონია დასავლეთის პორნოგრაფიული და სადისტური ფილმების კულტი, განგსტერების „ჰეროიკა, დასავლური მოდების წამხედურობა, დასავლეთის წინაშე ხელგაშვერილი დგომა უცხოური კრედიტების მოლოდინში, საეჭვო პოლიტიკური გარიგებები ზოგიერთ პოლიტიკურ ავანტურისტებთან, მათი მოწვევა საქართველოში. საქართველოს ბუნებრივ და წიაღისეულ სიმდიდრეთა, კურორტების, პორტების და საწარმოო ობიექტების მიყიდვა დასავლეთისთვის და სხვა. აი, ასეთ „დასავლურ“ ორიენტაციას ვგმობთ ჩვენ...

„მაგრამ დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის, რომ ჩვენის თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება, დასავლური ღია, დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ“.

(გამოცემა „ქართული აზრი“, 1 ივნისი, 1992 წელი, N24).

1991 წლის 7 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე რესპუბლიკის პრეზიდენტის ფიცის დადებისას ბატონმა ზვიად გამსახურდიამ საპროგრამო გამოსვლაში განაცხადა:

„სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს“.

„ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა“.

ლიბერალური ფუნდამენტალისტებისათვის, გლობალიზაციისთვის ეს უმძლავრესი დარტყმა იყო. ზვიად გამსახურდიას ეროვნულმა პოზიციამ ნათლად აჩვენა იმპერიალიზმს, რომ საქართველოს ლიდერი არ აპირებდა მისი ქვეყნის ინკორპორაციას იმპერიალიზმის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის – ე.წ. „განვითარებადი ანუ მესამე სამყაროს“ რიგებში. პასუხი იყო 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება და 1993 წელს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მკვლელობა, 1992-2003 წლებში რენეგატ ე. შევარდნაძის კორუმპირებული ტირანია და მისი ჩანაცვლების მიზნით „ვარდების რევოლუციად“ წოდებული პოლიტიკური სპეცოპერაცია. შედეგად საქართველოს ოპერატიული მართვა მთლიანად დაეკისრა ჰიპერ და სუპერ სახელმწიფოების, ინტეგრირებული ბიზნეს-ჯგუფების (ყოფილი ტრანსნაციონალური კორპორაციები) კლიენტურას, რომელთა ცენტრალური ეკონომიკური ფუნქცია გახდა იმპერიალიზმის მიერ საქართველოს ეკონომიკური ანექსიის დაჩქარებული ტემპებით გახორციელება, ხოლო პოლიტიკური ამოცანად განესაზღვრა ენერგეტიკულ რესურსებზე ჰიპერ და სუპერ სახელმწიფოების ზემოქმედება. მ. სააკაშვილის რეჟიმმა საქართველო იმპერიალიზმის „სერვერ-პროვაიდერად“ აქცია.

2001 წლის 11 სექტემბერმა ნათლად აჩვენა, რომ ბალკანეთში მუსულმანი სლავებისა და ალბანელების სამხედრო-პოლიტიკური აქტივობის პროვოცირების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის მიუხედავად, ისლამი არ შეიძლებოდა ყოფილიყო „გაღმერთებული ბაზრის“ მორჩილი. ლიბერალურ და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის დაიწყო დარტყმებისა და კონტრდარტყმების გაცვლა. აშშ-მ და NATO-მ 2001 წელს ავღანეთში დაამხეს „თალიბანის“ რეჟიმი. ამ ქვეყანაში განალაგეს 40000-იანი სამხედრო კონტინგენტი. 2003 წელს აშშ-მ, ბრიტანეთმა და მათთან არსებულმა კოალიციამ ერაყში დაამხო სადამ ჰუსეინის რეჟიმი. აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა 2003 წლის 1 მაისს გამარჯვებაც კი გამოაცხადა, მაგრამ ეს არა გამარჯვება, არამედ ლიბერალური და ისლამური ფუნდამენტალიზმის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკების დაწყებად იქცა.

რატომ იქცა ეს ყოფილი ალიანსი მტრობის ბუდედ? მევახშეობის დევნა მიუღებელია ბაზრის მაღმერთებლებისათვის, მაგრამ არა მარტო ეკონომიკური პრინციპია აქ მთავარი. თეორიულად ლიბერალური დემოკრატია ესაა რაციონალურ ინდივიდუმთა სამოქალაქო საზოგადოება, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ისლამურ კოლექტივიზმს, თემს, ალაჰის უზენაესი ნებისადმი მორჩილებასა და განდიდებას. ლიბერალური ფუნდამენტალიზმი სპობს რა ოჯახს, ტრადიციულ ქრისტიანულ ოჯახს – მამაკაცისა და ქალის კავშირს, მის ადგილას აკანონებს დახურულ სააქციო საზოგადოებას ერთობლივი ქონების სამართავად, მეტიც მათ ანიჭებს ერთსქესიან ხასიათს, რითაც გზას უხშობს ახალი სიცოხლის ჩასახვას. ეს კი დიამეტრალურად უპირისპირდება ისლამურ პოლიგამიურ ოჯახს. შუამდინარეთში დღეს „გეიპარადის უფლების დამცველები“ ებრძვიან ისლამური ხალიფატის, შარიათის კანონების აღორძინებისათვის მეომრებს. ეს იდეოლოგიური ომი ისტორიის კაპრიზის გამო გადაჯაჭვულია ქურთი ხალხის ეროვნულ მოძრაობასთან – შეიქმნას დამოუკიდებელი ქურთისტანი.

ერაყში აშშ-ს, ბრიტანეთისა და მათთან არსებული კოალიცის მიერ სამხედრო ინტერვენციის დაწყებამდე. პრობლემა უნდა მოგვარებულიყო ისევე, როგორც ეს მოხდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ბირთვული პოტენციალის ლიკვიდაციის მსგავსად. მაგრამ არჩევანი გაკეთდა კონფლიქტის ესკალაციის სასარგებლოდ. სამხედრო ინტერვენციამ ერაყში დაამხო ბაასის (არაბეთის სოციალისტური აღორძინების პარტია) რეჟიმი. 1958 წლის 14 ივლისის რევოლუციის შემდგომ ჩამოყალიბებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა სისტემამ მოქმედება შეწყვიტა. რესპუბლიკაში ქაოსმა და ნგრევამ დაისადგურა, გამეფდა ტოტალური უმუშევრობა, რამდენიმე მილიონი ერაყელი ლტოლვილი და იძულებით ადგილნაცვალი პირი გაჩნდა. ერაყში დაიწყო ფართომასშტაბიანი წინააღმდეგობის მოძრაობა, რომელშიც ჩაერთვნენ როგორც ბაასის რეჟიმის ფუნქციონერები, ასევე სხვა სუნიტი და შიიტი მებრძოლები, ქვეყანაში შემოვიდა მრავალი ისლამისტი მეომარ, ქვეყნის ჩრდილოეთით ქურთებმა პრაქტიკულად ავტონომიას მიაღწიეს, სამხრეთსა და ნაწილობრივ ცენტრში, ბაღდადის აღმოსავლეთ ნახევარში შიიტებმა ასევე პრაქტიკულად შექმნეს შიიტთა კომპაქტური მასივები. ამ ვითარებაში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ერაყთან მიმართებაში გაეროს სათანადო რეზოლუცია, საქართველოს მოღალატე ე. შევარდნაძემ გაეროს სამშვიდობო მანდატის გარეშე ერაყში 70-კაციანი სამხედრო კონტინგენტი გააგზავნა.

დღეს უკვე 2007 წელია და აშშ-ს, ბრიტანეთისა და მათთან არსებული კოალიცის ძალები ერაყში ამ რესპუბლიკის მთავრობის მოთხოვნით იმყოფებიან, მაგრამ მათი რიცხვის თითქმის 200 000 გაზრდის მიუხედავად, წინააღმდეგობის მოძრაობა არათუ მცირდება, არამედ იზრდება კიდეც. შესაბამისად კატასტროფულად იზრდება მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში – ბავშვებში, ქალებში, მოხუცებში. ერაყელების ეროვნული ტრაგედია სულ უფრო და უფრო ფართოვდება.

ე. შევარდნაძის პოლიტიკური მემკვიდრე მ. სააკაშვილმა თითქმის 30-ჯერ გაზარდა ქართული კონტინგენტი ერაყში. 2000-ზე მეტი ქართველი სამხედრო მისი პოლიტიკის წყალობით დღეს უკვე ირანის საზღვრის მიმდებარე პროვინციაში პირდაპირ უნდა შევიდეს კონფლიქტში ადგილობრივ შიიტ არაბებთან. და რისთვის? მხოლოდ იმისათვის, რომ პოლიტიკოსებად წოდებულ ბროკერთა ჯგუფს ჰიპერ სახელმწიფოს აშშ-ს მმართველი რესპუბლიკური რეჟიმის მხრიდან არ მოაკლდეს მფარველობა, კეთილდღეობა, რათა საქართველოს ეკონომიკური ანექსიის პროცესში, დღეს ქართული ბიუროკრატიის ელიტაში მყოფ ინდივიდუმებს სრული კარტ-ბლანში მიეცეთ, ქვეყანაში სოციალური სტაგნაციის გავრცელების ფასად, იშოვონ დიდი კაპიტალი.

კონფლიქტები, დღეს, ხალხებისა და ქვეყნების მართვის კარგად აპრობირებული საშუალებებია. სოციალური პარაზიტების – პოლიტიკურ სპეკულიანტთათვის სისხლისმღვრელი კონფლიქტები არსებობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენენ. „ლიბერალური დემოკრატიის“ ექსპორტის საფარქვეშ კი ხორციელდება ხალხთა ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით კი ენერგეტიკული რესურსების ექსპროპრიაცია. მაგალითისთვის უნდა ითქვას, რომ თუნდაც ავღანეთში 2001 წლის შემდეგ ოპიუმის წარმოება რამდენჯერმე გაიზარდა და დღეს მსოფლიოში დამზადებული სუფთა ჰეროინის თითქმის 99 პროცენტს ავღანური ჰეროინი შეადგენს.

ლიბერალური ფუნდამენტალიზმის ცენტრალური მიზანი იმპერიის ფორმირებაა, ისევე როგორც ისლამური ფუნდამენტალიზმის მთავარი მიზანია ხალიფატის ჩამოყალიბება. 1989 წელს ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერი მერაბ კოსტავა შორსმჭვრეტელურად აფრთხილებდა ეროვნულ ძალებს ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ: „ძველი იმპერიები იმგვარ ძალას დაუნგრევია, რეალურად ან პოტენციურად ახალ იმპერიას რომ ატარებდა საკუთარ თავში, იმპერიებს უმეტესწილად ახალი, მომავალი იმპერიის შემქმნელი ბარბაროსული ძალა ანგრევდა, ძალა, რომელიც არსებულ იმპერიაზე უფრო ველურია...“ (რომის იმპერია თუ ბაღდადის სახალიფო მართლაც ბარბაროსულმა ძალებმა დაანგრიეს), მაგრამ მერაბ კოსტავა ისტორიულად აქტიურ კითხვას სვამდა: „რა ბედენაა, თუკი ერთი იმპერიის დანგრევას უთუოდ ახალი იმპერიის შექმნა მოჰყვება? გარდაუვალია და სასურველია ერთხელ და სამუდამოდ შეწყდეს იმპერიების ამგვარი ესტაფეტა“ (გამო-

გაგრძელება მე-7 გვ.

დასაწყისი გვ. 6-დან

ცემა „უწყებანი“, 28 თებერვალი, 1989 წელი, N3(6)).

განა რა მოუტანა საქართველოს XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა ლაშქართან ერთად ერაყში ლაშქრობამ და ბაღდადის აღებამ, ან XVIII საუკუნეში ყიზილბაშ-სპარსელებთან ერთად ინდოეთში ლაშქრობამ და დელის აღებამ – თავისუფლება? დამოუკიდებლობა? კეთილდღეობა? დიდება? არც არაფერი მსხვერპლისა და ხარჯის გარდა. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს“. ბარბაროსული ძალების მიერ ძველი იმპერიების ნგრევასა და ახლის აშენებაში მონაწილეობა მხოლოდ შავ ლაქებს მატებს საქართველოს ისტორიას. ერაყში შესვლაზე უარი თქვეს NATO-ს წევრმა გერმანიამ, საფრანგეთმა, საბერძნეთმა, სლოვენიამ, ბელგიამ, ლუქსემბურგმა. იგი უკვე დატოვეს იტალიამ და ესპანეთმა, ხოლო სხვები გასვლის რეჟიმში იმყოფებიან. NATO-ს ახალბედა წევრები ლიტვა, ლატვია და ესტონეთი კი მხოლოდ მძღოლებითა და მეკავშირეების მცირერიცხოვანი ჯგუფებით არიან წარდგენილნი და მათაც შინისკენ უჭირავთ გეზი. ჩვენი ქვეყანა კი კიდევ უფრო მეტად ეფლობა კონფლიქტის ამ ჭაობში. რისთვის? რომ საფონდო ბირჟის სპეკულიანტმა სპურემოგება ნახოს, რომ ნავთობსა და გაზზე ფასების ზრდით კიდევ მეტ გაჭირვებაში ჩავარდეს ჩვენი ქვეყნის ისედაც მცირე შემოსავლიანი მოსახლეობა.

ერებსა და ქვეყნებს არ სჭირდებათ კონგლომერატებში მოთავსება, მათ სურთ თავისუფალი შრომა და საკუთარი, უნიკალური კულტურის მშენებლობა. ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი ერაყის მსგავს კონფლიქტის ზონებში საველე ჟანდარმერიის ფუნქციის გახორციელებით, არც არას იღებს. XVII საუკუნეში ინგლისის ლორდ-პროტექტორის ოლივერ კრომველის „რკინისგვერდებიანთა“ არმია – ევროპის პირველი არმია მხოლოდ გადაგვარდა და დაკნინდა ოკუპირებულ ირლანდიაში პარტიზანებთან ბრძოლით. ასეა დღესაც, ლიბერალური იმპერია იქნება, თუ ხალიფატი, არც ერთი გვარგია და არც მეორე. საქართველოს აქვს სულიერი მისია, რომლის შესახებაც ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერმა ზვიად გამსახურდიამ ნათლად ისაუბრა ჯერ კიდევ 1990 წელს. არსებობს კავკასიური სახლის იდეა, შესაბამისად ამ გიგანტური „აქლემების“ ჩხუბში პატარა „კოზაკივით“ რომ არ გავიჭყლიტოთ, არაა საჭირო სხვის ომში ხმლის ქნევა. როგორც პირველ, ასევე მეორე მსოფლიო ომში ქართველმა ერმა უდიდესი მსხვერპლი გაიღო. ჩვენს ქვეყანას საკუთარ ტერიტორიაზევე ჰყავს უბოროტესი მტრები ს. ბალაფშისა და ე. კოკოითის ტერორისტული ბანდები. მათი მხრიდან იყო და არის ტერორისტული აქტების გახორციელების მცდელობა. მათთვის ფრიად ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალის საზღვარგარეთ გაფანტვა. მათ სურთ და შეუძლიათ კიდეც უსასტიკესი დანაშაულის ჩადენა და შემდეგ კი თავის მოკატუნება და ხელის სამხრეთით გაშვერა, რომ საფრთხის წყარო იქით და არა მათთან ეძიოს საქართველომ.

ერაყში მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა გაეროს პრეროგატივა უნდა გახდეს და მან საკუთარი წესდების საფუძველზე უნდა დაიწყოს ამ რესპუბლიკაში მშვიდობის აღდგენის ოპერაცია. საქართველომ დაუყოვნებლივ და სრულად უნდა გამოიყვანოს კონტინგენტი ერაყიდან, რადგან ესაა ერთადერთი მართებული სტრატეგია. მშვიდობა და თავისუფალი შრომა, ეროვნული კულტრის შენება, ესაა ჩვენი პოზიცია, ეროვნული სტრატეგია ლიბერალური ფუნდამენტალიზმის დოგმა „ბაზარი ღმერთია“ შეეჯახა რა ისლამს, დღეს ცდილობს ამ კონფლიქტის მხარედ აქციოს საქართველოც. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ერთადერთი მართებული და შორსმჭვრეტელური პოზიცია არის კონფლიქტში არმონაწილეობა. არამარტო ავღანეთი და ერაყი, არამედ ირანის ბირთვული პროგრამის საკითხიც შეიძლება დიდი შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი მიზეზიც გახდეს. ამ საფრთხეების გათვალისწინება გვკარნახობს კონფლიქტებში არჩარევის აუცილებლობას. მშვიდობის, შეთანხმებისა და უსაფრთხოების პრინციპის დაცვა, როგორც სახელმწიფოს, ასევე მთელი ერის ყურადღებას მოითხოვს. ქართულ ხმალს უცხო ომში არაფერი ესაქმება, ჩვენი საერთო მიზანი საქართველოს მომავალზე ზრუნვა უნდა იყოს, როგორც დღეს, ასევე ისტორიულ პერსპექტივაში. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიტყვებია: „ჩვენი მსოფლიო ისტორიული მისიაც, ამ ორი სამყაროს სინთეზში მდგომარეობს და ეს სინთეზი იყო ოდითგანვე იბერიულ-კავკასიური სამყარო, მისი ტრადიციები, მისი სულიერი და კულტურული ყოფა, მისი ცხოვრების ფილოსოფია“ (გამოცემა „ქართული აზრი“, 12 მაისი, 1992 წ., N24).

საქართველოს არჩევანი არა ძალადობა, არამედ ღვთაებრივი სიყვარულია.

სამსახოჯანი იანუსი



ხიზნის ფიქრები საქართველოს ბურუსით მოცულ მომავალზე

დედა სამშობლო ავ დედინაცვლად გვიქციეს, როგორც სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ ქართველებს, ისე დარჩენილებს.

გაუსაძლისმა ყოფამ, დამცირებამ, აბუჩად აგდებამ, სიღატაკემ, შიმშილმა და სიცივემ, განუკითხავმა უსამართლობამ, კაცთაკვლამ თავისი ჰქმნა და ხალხი ქუჩაში გამოიყვანა.

ძნელად თუ მოიძევ საქართველოს ისტორიაში ისეთ ხანას, რომელიც დღევანდელ დროებას შეედრება.

კატასტროფა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა, დაცემა-გადაგვარება ერისა და ეროვნული თვითშეგნებისა სათავეს იღებს თხუთმეტი წლის წინ განხორციელებული კრიმინალური სახელმწიფო გადატრიალებიდან, რამაც განაპირობა მიმდინარე წლის ნოემბრის დასაწყისში აზვირთებული საერთო სახალხო მოძრაობის კრახი.

სახალხო მღელვარების გამოყენება სცადეს მოქმედი რეჟიმის ოპოზიციად შერაცხულმა სხვადასხვა წარმომავლობის და მიმართულების გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ძალებმა.

მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მმართველი რეჟიმის „მოწინააღმდეგე“ მხარეს პროფესიონალ პოლიტიკოსობაზე აქვს პრეტენზია, იგი უსუსური და უგუნური აღმოჩნდა.

აქ უმთავრესი ისაა, თუ ვის უჭირავს ამათუ იმ აქციის სადავეები, ვინ არიან ისინი, საიდან მოვიდნენ, როგორ განვლეს გზა დღევანდლამდე.

რამდენად უანგარო და წმინდაა მათი ქმედება, რა დგას ყოველივე ამის უკან – საკუთარი მიზნები, ქვენა გრძნობები თუ ქვეყნის გადარჩენის გულწრფელი სურვილი და სწრაფვა, თუ კვლავ ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ მსგავსი უცხო, შავბნელი ძალების მიერ დაწერილი სცენარით ვითარდება ყოველივე?

ჩვენი ღრმა რწმენით, სამამულო საქმეში გამარჯვება მხოლოდ სუფთა სულისა და გულის ადამიანებს შეუძლიათ და არა ქვედაბუნებსა და ავაზაკებს, ხოლო რამდენად სუფთა და უხინჯოა მათი უმრავლესობა ყველამ ვიცით!

ჩვენ გვაქვს გუშინდელი მაგალითი ზნეობრიობის გამარჯვებისა, როდესაც ერთი პიროვნების ზნეობრივმა სიწმინდემ, თავდადებულმა მამულიშვილობამ სძლია უზარმაზარ მანქანას ბოროტებისას.

იქნებ შემოგვედაოს ვინმე, რას ვეძახით გამარჯვებას, როცა...

არა, ბატონებო, რაც 1992 წელს მოხდა ის დამარცხებაა იმ ბედკრული საზოგადოებისა, რომელშიც მოუწია ცხოვრება ჩვენს ქართველ მეფე მათეუშს!

დიახ, ეს დამარცხებაა იმ საზოგადოებისა, რომელმაც იარაღი აისხა სიკეთის, ადამიანურობის, მამულიშვილობისა და უფლის წინააღმდეგ!

დამარცხებაა მონობაში აღზრდილი საზოგადოებისა, რომელსაც არ აქვს უნარი თავისუფალი აზროვნებისა, განსჯისა, არ გააჩნია უნარი ბოროტების და კეთილის, სიწმინდისა და უწმინდურობის გარჩევის. ამგვარი საზოგადოება მოკლებულია ღვთიურ მადლსა და სულს!

აი, ის დამარცხდა და არა საქართველოს მაშინდელი ჭირისუფალი, რომელიც თვით იყო განსახიერება სამშობლოს თავისუფლების და აღორძინების იდეისა!

ის სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად და მითად, ხოლო აღსრულებამ სამუდამოდ დაუმკვიდრა სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

ის რომ დაუმარცხებელია ეს ჩვენ კიდევ ერთხელ დაგვანახა ამა წლის ხარების დღემ – პირველმა აპრილმა! პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის დღემ.

განდევნილები და დამარცხებულები, თუნდაც გარდაცვლილები ასეთი დიდებით, ასეთი ტრიუმფით არ და ვერ უბრუნდებიან თავიანთ სამშობლოს, თავიანთ ხალხს, რომელსაც მან ყოველივე უანგაროდ შესწირა, ტარიგად მიიტანა საკურთხეველზე საკუთარი სიცოცხლე, სანთლად მისი გული დაუნთო და ზეცად აღევლინა.

საქართველოსთვის წამებულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ყოველი ქართველის ცოდო-ბრალი თვით იტვირთა ჩვენდა სახსნელად და ისე მიეახლა უფალს!

მთელი გულისყურით ვადევნებდით თვალს ნოემბრის დასაწყისში თბილისში მიმდინარე მოვლენებს. ტელე-ეკრანს არ ვშორდებოდით.

ისევ ძველი გვარდია, ისევ ისინი, ვისაც შევარდნაძემ მადლი უძღვნა, ისევ ის უღირსებო „ღირსების“ ორდენოსანთა ამალა!

მთავარი გმირები იმ ტრაგედიისა, რომელიც 1992 წელის დეკემბრის თვეს დაატყდა ჩვენს სამშობლოს თავს, განა ამათ არ დაანთეს ის ცეცხლი, რომელმაც გადაბუგა სრულიად საქართველო?

განა ამათ არ გალეწეს სისხლის კალო, ჯერ რუსთაველზე და შემდეგ მთელს საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, რომელიც იმხანად საქართველოს ვანდეა იყო?

ესენი არ გაჰკიოდნენ – გადაბუგეთ გველების ბუდეო?

ჩვენთვის ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და ამაზრზენი იყო გამოსვლა იმ არაკაცებისა, რომლებმაც იჯევანამდის ჩასდიეს დევნილ პრეზიდენტს და სომეხთა პრეზიდენტისგან მის გადაცემას მოითხოვდნენ. კინორეჟისორ გიორგი შენგელაიასა და გოგა ხაინდრავას ვგულისხმობ.

აბა, რომელს გაახსენდა იმ პერიოდის შვილმდკვდარი დედები, რომლებიც დღესაც ელიან სამართალს, რომელმა ახსენა გურამ შარაძის ვერაგული მკვლელობა და ა.შ.?

რომელს გაახსენდა რომ საქართველოს დღესაც ჰყავს კანონიერი ხელისუფლება?

ჩვენთვის სრულიად ნათელია, რომ მათი გულისწყრომა პირადულიდან მომდინარეობდა; ზოგი მოხსნეს, ზოგს ბინა ჩამოართვეს, ზოგს რა წაღლიტეს და ზოგს რა.

განა დღევანდელი სახელისუფლებო ბანდა ამათი სულიერი და ხორციელი მემკვიდრეები არ არიან?

შევცდითო, შეცდნენ იმაში, რომ სახრავი აღარ მიუგდეს, ეიმედებოდათ კი, თორემ ერთი ყალიბისანი არიან ყველანი!

მშრალზედ დარჩენილები აუმხედრდნენ ნახევარძმას!

მოდით, დავუშვათ, რომ გაემარჯვა ამ ე.წ. ოპოზიციას, მოსულიყვნენ ხელისუფლების სათავეში, ამათი შეკრული უნია ხომ ორ კვირაში შემოელეწებოდათ ხელში, რამეთუ მათგან ზოგი კონსერვატორი-როიალისტ-მონარქისტია, ზოგი მემარჯვენე, ზოგი მემარცხენე, ზოგიც ცენტრისტი და უკაცრავად პასუხია, ბევრიც, თუ ყველა ერთად არა – დაცენტრილი!

ყოველ მათგანს დღევანდელმა დღემ გადაასხა „პრაიავიტელი“!

მერმედ, სამ კვირაში კიდევ ახალი რევოლუცია?

ვინ აქცია ჩვენი მამული მსოფლიოს შავბნელი ძალების ლაბორატორიად და საწვრთნელ პოლიგონად?

აქ ისევ და ისევ „უჩემოთ ვინ იმღერეთა“-ს სულისკვეთება იყო!

აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ დღევანდელი „წინასაარჩევნო“ ვაქხანალია?

განა ესენი არ გაიძახოდნენ საქართველო საპრეზიდენტო მმართველობის გარეშეო?

დღეს კი ისევ მიშას სათადარიგო ჭანჭიკები და ბორბლები არიან!

ნაცვლად საერთო ეროვნული მშვიდობიანი დაუმორჩილებლობისა, ახლა „წინასაარჩევნო“ პოლიტიკური „აქტივობაა“ მთელს საქართველოში.

დღეს უკვე ნათელია, რომ ე.წ. ოპოზიციის ყოველგვარი ქმედება მმართველი რეჟიმის წისქვილზედ ასხამს ამღვრეულ წყალს, ამ გამოთაყვანებულმა „ოპოზიციამ“ იმდენი ჰქნა, რომ ამ წურბელებსა და პარაზიტებს კიდევ რამდენიმე წლით გაუხანგრძლივა ბოგინი. ეჭვს მოკლებული არაა ის, რომ ორთავე მხარე შეთანხმებულად მოქმედებდეს საიდუმლო სცენარის მიხედვით, რომელშიც ჩვენი სამშობლოს და ხალხის მიწის პირიდან მოსრაა ჩადებული! ამის თქმის საფუძველს კი მომხდარი გვაძლევს!

დიქტატორებსა და ტირანებს სჩვევიათ, როცა კრიზისში ვარდებიან, მაშინ აწყობენ გადატრიალების, ამბოხების ინსცენირებას თავიანთი ძალების მეშვეობით, რათა მოიშორონ და გაანადგურონ მათთვის არასასურველი ძალები და მოწინააღმდეგენი. იქნებ, ამჯერადაც ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე?

საბოლოო ჯამში წაგებული და განადგურებული დარჩება ისევ და ისევ ის დარბეული, ნაცემ-ნაბეგვი და მოწამლული ხალხი, რომელსაც კიდევ ერთხელ მოუკლეს მომავლის იმედი, კიდევ ერთხელ შეურყიეს რწმენა საკუთარი თავისა, საკუთარი უფლებმოსილებისა და ძალისა, პატივისცემა საკუთარი ღირსების და კვლავ შეჰყარეს ნიჰილიზმის მომაკვდინებელი ბაცილა და რაც მთავარია – ისევ და ისევ არანაკლებ საშიში – შიშის სინდრომი.

უიმედობა, უსასოება, რწმენის და იმედის ჩაკვლა თავისას იზამს, მაგრამ სასწაული რომ მოხდეს და უფალმა კვლავ აღირსოს ჩვენს ერს მერაბები და ზვიადები, აღარც მათ დაძახილზედ გამოვა ქუდზე კაცი.

აი, ეს უნდოდათ და მიაღწიეს ერთობლივი ძალისმევით!

ახლა, რაც შეეხება არჩევნებს: „ესეც ჩვეულებრივი, შევარდნაძისეული „არჩევნობანა“ იქნება.

წყალს და მეწყერს წაუღია ყველა ესენი გალმელებიც და გამოღმელებიც, მე ერთი რამ მიკლავს გულს, ჩემმა ხალხმა ჭკუა ჯერაც ვერ ისწავლა, ისწავლა.

მოდით, ყველაფერს შევარდნაძესა და მის ნაშიერთ ნუ დავაბრალებთ, დღევანდელი ქართველობა თვით არის დამნაშავე თავის უბედურების შექმნაში.

განა ჩვენ რომ ვვარგებულიყავით, ის 70 არაკაცი მოგვერეოდა? თუნდაც მთელი სამყაროს ეშმაკები და ბელთზებელები მდგარიყო მათ უკან?

გონებაჩლუნგი მიხვდებოდა „ვარდების რევოლუციის“ ფარსსა და სიყალბეს.

საქართველოს მაოხარის ედუარდ შევარდნაძის გაწვრთნილი სააკაშვილი, მამულზე ფიქრით რომ არ დაიდაგებოდა ამას არ სჭირდება კანტობა და ჰეგელობა.

როდესაც საზოგადოება ჰკარგავს განსჯის, აზროვნების უნარსა და ჯიუტად არ სურს ჩახედოს რეალობას თვალებში, მაშინ ის დასაღუპად არის განწირული.

დღეს ხომ ნათელია ყოველივე, თუ თვით ხალხმა არ ინდომა ჭეშმარიტი თავისუფლება, სხვაგვარ არ ეგების.

ჩვენი საზოგადოების გარდასაქმნელად არ აღმოჩნდა საკმარისი ის მცირე ხანი, ის გაელვება თავისუფლებისა, რომელიც სამარადჟამოდ გვისახსოვრა ჩვენმა წამებულმა ჭეშმარიტმა პრეზიდენტმა და მამულის სარანგმა ზვიად გამსახურდიამ.

კათარზისისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ის დრო. არა და ვიცით თუ რამდენ ხანს ატარა მოსემ მონობაში დაბადებული თაობა უდაბნოში და როგორ შეიყვანა ახალთა-

გაგრძელება მე-9 გვ.

დასაწყისი გვ. 8-დან

ობა აღთქმულ ქვეყანაში. ჩვენ გვაგვიანდებოდა მაშინ, თუ კიდეც არ დავიგვინეთ!

მონობა ხომ სასიკვდილო დავადებაა! მონობაში დაბადებული, აღზრდილი და დაბერებული თაობა ავადმყოფია, სასიკვდილოდ განწირული.

ასე მგონია, რომ დღევანდელი ქართველობა საკუთარი თავისა და ქვეყნის მესაფლავეა!

თუ თვით არ ინდომა განკურნება, მაშინ...

ისევ და ისევ ამ წყეული არჩევნების შესახებ...

ნაცვლად იმისა, რომ შინ დასხდნენ, კვლავ „წინასაარჩევნო“ შეკრებებზე დარბიან, ზოგი ვისთან და ზოგიც ვისთან, არა და ყველა ერთნაირი გარეწარი და ნაძირალაა.

ნაძირალაა ის, აბა ვინ არის, ვინც ეჭვ ქვეშ აყენებს რუსთველის, ილიას, ვაჟას სიდიადეს, ხომ აიტაცეს მათმა შთამომავლობამ ესტაფეტად მათი ჩათესილი ბოროტი თესლი, ქართველის დედაც შეგვიგინეს, თამარიც, კაცობაც და ღირსებაც!

იხვართქალებენ, იხვართქალებენ და ამ გასაცოდავებულ ხალხს „პრეზიდენტად“ კვლავ სააკაშვილი შერჩება, გინდ მეორე ტური ჩატარდეს და გინდ მესამე!

„საპრეზიდენტო“ კანდიდატების და ოპოზიციის წარსულ დანაშაულებრივ ქმედებებს რომ თავი დავანებოთ, დღევანდელი მათი ქმედება დანაშაულისა და ღალატის ტოლფასია! სწორედ ესენი უქმნიან საფუძველს არსებული დიქტატურის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებას!

ამათ რომ ჭკუა, აზრი და გონება ჰქონდეთ, არ დათანხმდებოდნენ მიშას შემოგორებულ შხამიან სატყუარას. „კანდიდატურების“ წამოყენება კი არა ბოიკოტი უნდა გამოეცხადებიათ ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. ამ ცოდვის შვილებს ჰგონიათ, რომ იმ ერთკვირიანი შახსეი-ვახსეით დაასუსტეს „ხელისუფლება“ და „პრეზიდენტი“, არა და საქმე პირიქითაა, მწვანე გზა გაუხსნეს! არა და ვინ იცის, მომავალ წელს იქნებ პრეზიდენტის სავარძლიდან საბრალდებო სკამზეც მოესროლათ!

საერთაშორისო დამკვირვებლები ჩამოდიანო! ახლა კი წასულია მიშას საქმე ხელიდანო? განა ისინი შევარდნაძის „არჩევნობანობის“ დროს არ ჩამოდიოდნენ საქართველოში მედიატორებად, განა ისინი არ უდასტურებდნენ შევარდნაძეს გაყალბებული არჩევნების ოქმებს? განა იმ გაყალბებული ოქმების შედეგად ბევრი ამათგანი არ იკალათებდა მინისტრების სავარძლებში?

დასასრულს ერთი რამის შესახებაც გვსურს გიამბოთ: 2 ნოემბრიდან 7 ნოემბრამდე მრავალგზის ვეცადეთ „ოპოზიციის“ ტელე-ეკრანიდან ორიოდე წუთით მოეცათ ჩვენი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, თითქმის მთელი კვირის მანძილზე ვრეკავდით უცხოეთიდან საქართველოს ე.წ. ოპოზიციურ ტელეარხებში. მაგრამ ამაოდ, მათთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ჩვენი მოსაზრებები.

ეჭვი ამ ტელევიზიის სულის სიწმინდეშიც შეგვეპარა, შეგვეპარა კი არა, დავრწმუნდით, რომ მათი „მოწინააღმდეგე“ ტელეკომპანიისგან, არც ესენი განსხვავდებოდნენ ბევრად.

ჩვენ მაშინ იმ გაუსაძლის ყოფაში ჩავარდნილ ხალხს ვგულშემატკივრობდით და არა ამ იწილო-ბიწილოს ორგანიზატორებსა და იმ უმორალო მორალისტებს, რომლებიც თავიანთ თავს ინტელიგენციას უწოდებენ და ჩვეულებისამებრ მოძღვრავდნენ ხალხს.

ვისხედით ტელე-ეკრანის წინ და იქ მოქნეული რეზინის ხელკეტი ჩვენ გვხვდებოდა, იქ გასროლილი რეზინის ტყვია – ჩვენს გულებს გმირავდა, იქ გაშვებულმა გაზმა ჩვენც მოგვიწამლა სული!

სინდისის ქეჯნა გვწვავდა, იმათ შორის რომ არ ვიყავით. არა, ფსევდო-პატრიოტთა მიტინგებზე, არამედ იმ ბრძოლის ველზე, სადაც ისევ და ისევ ჩვენი მოტყუებული ხალხი იგვემებოდა.

ჩვენ იმიტომ გადავიხვეწეთ, რომ ეს ე.წ. ოპოზიციონერები, მაშინ ხელისუფლების ეშელონებში გრიალებდნენ, ხოლო მათ მხარდამჭერ შევარდნაძის ორდენოსან ინტელიგენციას ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად!

ღრმად პატივცემულო ინტელიგენციავ, რა გააკეთე იმისათვის, რომ ჩვენ, უბრალო, უსახელო და უჩინმედლო ქართველები უცხო მიწაზე არ გადვხვეწილიყავით?

ჩვენ იმიტომ გადავიხვეწეთ, რომ თქვენ გრიალებდით ჩვენს სამშობლოში, ჩვენ იმიტომ გადავიხვეწეთ, რომ თქვენ დარჩით ჩვენს მამულში!

სინდისის მქონე თქვენთაგანი ჩვენ გაგვასწრებდა.

იყო სამშობლოში და წაგღლიტონ სამშობლო, იყო სამშობლოში და თვალსა და ხელსშუა გიკვდებოდეს სამშობლო, ემიგრანტობაზე საშინელია! ემიგრანტობის სასჯელი კი თავად ვიკისრეთ, ნურვის ეგონება მანდ დარჩენილებზე უკეთესი ცხოვრება და ყოფა გვქონდეს რომელიმეს.

მანდ მამულის მოახლეობა გვსურდა და არ დაგვაცადეთ!

ჩვენ არავითარ მენტორობაზე და მორალისტობაზედ არ ვდებთ თავს. არა, უბრალოდ შევეცადეთ ჩვენი გულისნადები გადმოგვეტანა ქაღალდზედ.

შენ კი, ჩვენო საყვარელო ხალხო, ასჯერ მეტად გვიყვარხართ, გეფერებით და გულში გიხუტებთ! ვაჟასებრ ვლოცულობთ თქვენთვის:

„ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქებით მიწას ვჩხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

ჩვენი მონოლოგი ილიასეულად გვინდა დავამთავროთ:

„მარად და ყველგან საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მევარო შენი თანამდევი უკვდავი სული“.

ვლოცულობთ, ღმერთს ვევედრებით, რათა ბედნიერ საქართველოს შეგვასწროს უფალმა, ჩვენ კი თუნდაც აქ გავითხაროთ ძვალთშესალაგი, მაინც ბედნიერნი მივაბარებთ ჩვენს ცოდვილ სულებს მამაზეციერს, დაე მან განსაჯოს ყოველივე – ვინ მართალია, ვინ არა, ვინ ალალია, ვინ არა.

წინდაწინ გილოცავთ კარსმომდგარ შობა-ახალ წელს, ჭირის ცრემლი სიხარულის ცრემლად შეგცვლოდეთ, ეს გაუსაძლისი სულიერ ნეტარებად და აღმაფრენად გექცეთ, გვარ-ჯილაგი დაგილოცოთ და გიმრავლოთ მაცხოვარმა!

ამინ!

ალალი სიყვარულითა და გაუსაძლისი მონატრებით ***ალექსანდრე სანდუხაძე***

უცხოეთიდან

შეხვედრა მიხეილ სააკაშვილთან

მიუხედავად იმისა, რომ მთელი შეგნებული ცხოვრება მეცნიერებას შევალიე (ჩემი სადოქტორო დისერტაცია საჩუქრად მიუძღვენი ჩემს სამშობლოს, რომელმაც საერთაშორისო მასშტაბით მაღალი შეფასება მიიღო) ბევრი ჩემზე მეტად ღვაწლმოსილი მეცნიერი პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ჩარეცხილებად გამოგვაცხადა. უნივერსიტეტი, მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტები, თავისი უნიკალური ლაბორატორიებით, ათეული წლობით დაგროვილი საარქივო მასალებით და ა.შ. დაუფინანსებლობით განადგურდა. საკითხავია რა ეშველება მომავალ თაობებს, როცა ჩვენ, მხცოვანი ხალხი აღარ ვიქნებით და არქივებიც აღარ იარსებებს.

კვლევა შეწყვეტილია, მეცნიერება გაიყინა. რითი ისარგებლებენ მომავალი მკვლევარები, რა მასალით, როცა კვლევითი მუშაობა აღარ მიმდინარეობს? როდესაც ამჟამინდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნებში იყრიდა კენჭს ვაკეში, როცა ის ამომრჩევლებთან უბანში მოვიდა, ტიციან ტაბიძის ქუჩაზე, მე მას პირდაპირ (ალბათ მის ცხოვრებაში პირველად მიიღო ასეთი შენიშვნა) ვუთხარი – რა გინდათ პარლამენტში, თქვენ ხომ არ ხართ ეროვნულად განწყობილი, თქვენ ხომ ამერიკის კადრი ხართ და არ გაგაჩნიათ ქართული მენტალიტეტი-მეთქი. ჩემმა კატეგორიულმა მიმართვამ იგი ძალიან გაანაწყენა და მაშინ პატარა ბავშვივით იმართლა თავი: როგორ, მე არა ვარ ეროვნული? ჰელსინკში მოხსენება ქართულად გავაკეთეო! აშკარა იყო, ეროვნულობაში იგი მხოლოდ იმას გულისხმობდა, თუ რა ენაზე გააკეთებდა მოხსენებას საზღვარგარეთ. ამის შემდეგაც მომიხდა მასთან 3-4-ჯერ შეხვედრა და ბოლოს დამიმახსოვრა კიდეც. მეორე შეხვედრაზე პატრიოტულად ლაპარაკობდა. მას თავი კვლავ შევახსენე და ვუთხარი ეს ლაპარაკი, როცა საქმედ გადაიქცევა, მაშინ მე 85 წლის ქალი მოვალ და ბოდიშს მოგიხდით-მეთქი. მაგრამ ვაგლახ, რომ ვერ შეძლო ჩემი ბოდიშის დამსახურება, არ აკეთა ეროვნული საქმე, ქართველი ხალხის გაჭირვებიდან ამოყვანა, გამათხოვრებიდან მათი დახსნა, გადარჩენა.

მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს საქართველოში, არც ერთი ქართველი მათხოვარი არ არსებობდა, მოწესრიგებული იყო ცხოვრება 5 – წლიანი ომის დროს. მხოლოდ არ იშოვებოდა შაქარი, კარაქი და პურზე 300-გრამიანი ნორმა იყო დაწესებული. სხვა პროდუქტი, დაწყებული ხიზილალიდან, ყველაფერი იშოვებოდა მაღაზიებში. დღეს კი 50 ლარიანი პენსია პენსიონერმა გადასახადებში, წამლებში თუ პურის საყიდლად დახარჯოს.

მისივე თქმით, თურმე დღევანდელ საქართველოს ბიუჯეტი 7 მილიარდამდეა გაზრდილი. ამხელა ბიუჯეტის მქონე პრეზიდენტს პენსიების 100 ლარამდე გაზრდა არ უნდა უჭირდეს, მაგრამ პენსიონერებზე ზურნვის ნაცვლად შადრევნებს აკეთებს, ადამიანებს კი შიმშილით სასიკვდილოდ იმეტებს. შეიძლება საზოგადოებამ ასეთი დამცირება და გამეტება მოითმინოს? როდემდე? მაშინ, როცა ჩვენი რესპუბლიკა თითქმის ყველა რესპუბლიკებზე მდიდარი იყო, ეხლა ყველაზე ჩამორჩენილები ვართ, ერთ სულ მოსახლეზე კუთვნილი სასურსათო მინიმუმით.

პრეზიდენტი, რომელიც არ ზრუნავს ხალხზე, და დემოგრაფიულ პრობლემებზე იგი ანტიეროვნული პრეზიდენტია და იგი ყველამ უნდა გადავირჩიოთ!

გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ელენე აბაშიძე

პოლიტიკური კომენტარები

ირინა სარიშვილი

იგორ გიორგაძე

თემურ ჭორჭოლიანი

ელიზბარ ჯაველიძე

ალექსანდრე ჭაჭია

ვალერი კვარაცხელია

ავთანდილ მარგიანი

ფსევდო-ოპოზიციონერები და ფსევდო-პატრიოტები

შალვა ნათელაშვილი

ფიქრია ჩიხრაძე

გოგი თოფაძე

დავით გამყრელიძე

ზურაბ ტყემალაძე

მამუკა კაციტაძე

ვალერი გელბახიანი

საკაშვილმა საქართველოს საშხრეთი და აღმოსავლეთი თურქეთს და აზერბაიჯანს შიჭყიდა



ბოლნისში აზერბაიჯანელებმა მეჩეთი საზეიმოდ გახსნეს. ეს მეჩეთი 2 წლის განმავლობაში შენდებოდა საქართველოს წესდების უხეში დარღვევით, რადგან წესდების მიხედვით მშენებლობა საქართველოს საყდრიონთან უნდა შეთანხმებულიყო.

ბოლნისში აშენებული მეჩეთი იმ დიდი გაყიდვა-გარიგების ნაწილია, რომელიც სააკაშვილმა თურქეთთან და აზერბაიჯანთან საიდუმლოდ დადო.

სააკაშვილმა ამ გარიგების თანახმად:

აზერბაიჯანს დაუთმო დავით გარეჯი.

ქვემო ქართლი, სადაც დროთა განმავლობაში მკვეთრად უნდა გაიზარდოს აზერბაიჯანული მოსახლეობა, შემდგომში თვითმმართველობის („ავტონომიის“) გამოცხადებით:

ალიევის ძეგლი და ალიევის ქუჩა თბილისში სააკაშვილის მადლიერების კიდევ ერთი გამოხატულებაა გულუხვი ქრთამისათვის, რომელიც აზერბაიჯანმა მას მისცა.

თურქეთმა სააკაშვილის მოსყიდვით მიღო:

– საქართველოს საჰაერო გზების და საჰაერო სადგურების შეუზღუდავი მართვის უფლება;

– აჭარაში მოქმედების თავისუფლება, ქარხნების და სხვა თურქული დაწესებულებების გახსნის შეუზღუდავი უფლება, სადაც ქართველებს მხოლოდ მონების მდგომარეობა აქვთ;

– 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებული თურქების საქართველოს სამხრეთში, თურქეთის საზღვრის გასწვრივ ჩასახლება;

– თურქული უხარისხო და ხშირად მოწამლული საქონლის შეუფერხებელი შემოტანის უფლება;

– თურქული საწარმოები საქართველოში სარგებლობენ განსაკუთრებული მდგომარეობით – დაბალი გადასახადები ან სულაც გათავისუფლებულნი არიან გადასახადებიდან;

– მალე აჭარაში და მთლიანად სამხრეთ საქართველოში მომრავლდება მეჩეთები, ხოლო მართლმადიდებლური საყდრები და ჯვრები თანდათან გაქრება-დაინგრევა, ფერიის საყდრისა და ხობი-ხაშური-ჩოლოქის ჯვრების მსგავსად;

– თურქებს საქართველოდან იაფად და შეუფერხებლად გააქვთ ხე-ტყე, ჯართის სახით ფერადი ლითონები, რკინეულობა და სხვა;

საქართველოს დიდი გაყიდვა, სახალხოდ გამოცხადდა, როგორც „ტრანსკავკასიური“ ნავთობსადენის და „ბაქო-თბილისი-ახალქალაქი-ყარსის“ კავკასიური რკინიგზის ხელშეკრულებების სახელით. ღიად გამოცხადებული დიდი ხელშეკრულებების გვერდით დაიდო საიდუმლო გარიგებები, რომელიც საზოგადოებისათვის უცნობია და ამ გამყიდველური გარიგების შედეგებს დღითი-დღე ვიმკით...

საერთაშორისო „კავკასიური“ ნავთობსადენი და რკინიგზის ხელშეკრულებები კი დასრულდა საქართველოს რკინიგზის გაყიდვით, ანუ 16 წლის მანძილზე შევარდნაძე-სააკაშვილის მიერ მოტყუებული საზოგადოება, პირში ჩალაგამოვლებული დატოვეს, რადგან „საერთაშორისო კავკასიური რკინიგზიდან“ მოგებას საქართველო კი არა და ინგლისის დაწესებულებად გამოცხადებული „პარკფილდი“-ს უკან მდგომი მსოფლიო ღლავები მიიღებენ.

საქართველოს საზღვარში რკინიგზის 221 კმ-იანი მონაკვეთი საჭიროებს მშენებლობა-აღდგენას, აქედან 29 კმ-ზე ახალქალაქიდან თურქეთის საზღვრამდე ახალი რკინიგზა უნდა დაიგოს, ხოლო 192 კმ-იან მონაკვეთი შეკეთების ჩატარებას ითხოვს.

სარკინიგზო შეთანხმებას ქართულმა, თურქულმა და აზერბაიჯანულმა მხარეებმა თბილისში 2007 წლის 7 თებერვალს მოაწერეს ხელი. საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ასევე გაფორმდა სასესხო შეთანხმება საქართველოს მონაკვეთის რკინიგზის მშენებლობა-განახლების მიზნით, საქართველოსთვის 200 მლნ აშშ დოლარის ოდენობით 25-წლიანი სესხის გამოყოფის თაობაზე. სესხის დაფარვას საქართველო რკინიგზის ამოქმედებიდან მიღებული შემოსავლებით გეგმავს. ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის მიზანია ევროპისა და აზიის სარკინიგზო ხაზის შეერთების უზრუნველყოფა.

საქართველომ, აზერბაიჯანმა და თურქეთმა გადაწყვიტეს, საკუთარი სახსრებით განაგრძონ გეგმაზე მუშაობა, უფრო სწორედ, აზერბაიჯან-თურქეთის სახსრებით. მეტიც, მოგვიანებით არ გამორიცხავენ, სხვა მსურველი ქვეყნების გეგმაში ჩართვასაც. ამ ქვეყნებში, პირველ რიგში, ჩინეთი და ყაზახეთი იგულისხმება. დაიგეგმა მშენებლობა ყარსი-ახალქალაქის 100 კმ-იანი რკინიგზისა, რომლის ღირებულებაც, საქართველოს სამეურნეო უწყების გაანგარიშებით, 400 მლნ აშშ დოლარია. მისი ბუნებრივი გაგრძელება უნდა გახდეს გასულ წელს გახსნილი გადასაზიდი ხაზი ფოთი-ბაქო-აქტაუ-ალმატი. ამ ხაზში ასტანას შეხვედრის შემდეგ მონდომებით ჩაერთო ჩინეთიც.

ყაზახეთის ქ. ასტანაში „ტრასეკას“ გეგმის ფარგლებში გაიმართა საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, ჩინეთის და თურქეთის სამთავრობო წარმომადგენლების თათბირი.

ქართველის ფსევდონიმით მასალა გადმობეჭდილია www.mamuli.net

საქართველოს ზეიად განმათავისუფლებლის პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს განცხადება



საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შესახებ

2007 წლის 7 ნოემბერს საქართველოს დედაქალაქში ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა ვანდალიზმმა ერთნაირად შეაძრწუნა და აღაშფოთა, როგორც უცხოეთში იძულებით გახიზნული ქართველობა, ასევე ევროპის ქვეყნების საზოგადოებრიობა.

ჩვენ, უცხოეთში მყოფ ქართველების ერთმა ჯგუფმა მრავალგზის გამოვხატეთ ჩვენი პოზიცია შევარდნაძის ანტისახელმწიფოებრივი და მისი მემკვიდრის, სააკაშვილის დემოკრატიული რეჟიმების მიმართ და უნდობლობას ვუცხადებდით მას. ნოემბრის მოვლენებმა კიდევ უფრო გაამყარა ჩვენი პოზიციის სისწორე საქართველოში ყოფილ და არსებულ რეჟიმებთან მიმართებაში. ჩვენ კვლავაც, ერთგული ვრჩებით ჩვენი მამულიშვილური და მოქალაქეობრივი მრწამსისა, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოში არსებული ურთულესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიური ვითარება, უსამართლობა, განუკითხაობა და კაცთაკვლა, რაც საქართველოს დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაამკვიდრეს ზემოხსენებულმა ტოტალიტალურმა ძალებმა, საშიში და დამღუპველია საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისთვის. იგი აღმოიფხვრება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ქვეყანაში აღსდგება ისტორიულ-იურიდიული სამართლიანობა, როცა დევნილ ლეგიტიმურ ხელისუფლებას – საქართველოს უზენაეს საბჭოს მიეცემა საშუალება თავისი მმართველობის აღდგენისა, რომელიც აღდგენიდან უმოკლეს ვადაში დანიშნავს ჭეშმარიტ დემოკრატიულ არჩევნებს.

დღევანდელი ე.წ. ოპოზიციის აბსოლუტურ უმრავლესობას ლომის წვლილი მიუძღვის ამჟამინდელი რთული პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ვითარების შექმნასა და დამკვიდრებაში. მრავალი მათგანი ხომ შევარდნაძის მიერ შექმნილი პოლიტიკური ფიგურები ან მისი გუშინდელი მოკავშირეები არიან.

მიუხედავად ჩვენი რადიკალური პოზიციისა, ჩვენ სამართლიანი გულისწყრომითა და აღშფოთებით ვგმობთ მოშიმშილეებისა და მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას ა.წ. 7 ნოემბერს საქართველოს ამჟამიდელი რეჟიმის მიერ.

აგრეთვე, ვთვლით, რომ ყოვლად უსაფუძვლო და დაუშვებელი იყო ქვეყანაში საგანგებო ვითარების შემოღება ჭეშმარიტი დემოკრატიული საზოგადოების შექმნის დასამუხრუჭებლად.

მოვითხოვთ:

- ქვეყნის მოსახლეობას მიეცეს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის საშუალება;
- შეწყდეს დევნა და რეპრესიები პოლიტიკურ ოპონენტთა და ხელისუფლებით უკმაყოფილო მოსახლეობის მიმართ;
- დაზარალებულ და მოწამლულ მოქალაქეებს გაეწიოს სათანადო სამედიცინო დახმარება და მიეცეს მათ ფულადი კომპენსაციები;
- აღსდგეს დამოუკიდებელი ტელეკომპანია "იმედის" თავისუფალი და შეუზღუდავი მაუწყებლობა.

მომხდარი ვანდალიზმი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სააკაშვილის მმართველობა ძალმომრეობასა და ავტორიტარიზმზეა დამყარებული, რაც ეგზომ საშიშია საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქვეყნის მომავლისათვის.

საქართველოს მოსახლეობას მოვუწოდებთ, მთელი ძალისხმევა მიმართოს საქართველოში დარღვეული ლეგიტიმურობის აღდგენისაკენ, რაც იქნება მტკიცე გარანტი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების, წინსვლისა და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო!

8 ნოემბერი 2007 წელი

მამუკა ლომიძე *(თავმჯდომარე)*
გიორგი გიორგაძე
კახაბერ გიორგაძე
რუსუდან ლომიძე
დავით ცარციძე
დალი კობახიძე
ალექსანდრე სანდუხაძე

„...თუ პირველ ტურში გაიმარჯვა ოლიგარქმა, მაშინ მე საკაშვილის გვერდით დავდგები“

(ინტერვიუ პრეზიდენტობის კანდიდატ გია მაისაშვილთან)

– თუ შეიძლება შეახსენეთ საზოგადოებას, რა დონის ურთიერთობა გქონდათ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მთავრობასთან.

– ეროვნული პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მთავრობის წევრი და არც დეპუტატი არ გახლდით. ვიყავი 1983 წელს დაწყებულ ეროვნულ მოძრაობაში და სტუდენტური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ვარ განათლებით ეკონომისტი, შევიმუშავე დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რაც წარვუდგინე ბატონ ზვიად გამსახურდიას 1990 წლის არჩევნების წინ და ვიყავი მისი არაოფიციალური მრჩეველი ეკონომიკის დარგში. 1990-91 წლების არჩევნებში ვიყავი პროპაგანდისტი ზვიად გამსახურდიას „მრგვალი მაგიდისა“, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველი ერისთვის იქნებოდა შანსი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სრული პოტენციით წარმოჩენის და გაძლიერებისა. „ლომის წილი“ მაქვს შეტანილი ეროვნული ხელისუფლების მოსვლაში.

– როდის წახვედით ემიგრაციაში და რატომ.

– ქვეყანა პირველად დავტოვე კანონიერი ეროვნული ხელისუფლების გადატრიალების შემდეგ 1992 წელს. მცირე ხნით კვლავ დავბრუნდი და საბოლოოდ წავედი 1993 წელს.

– თქვენ ემიგრაციაში დაოჯახდით, თუ შეიძლება გვითხარით, ვინ არის თქვენი მეუღლე, რამდენი შვილი გყავთ და სად ცხოვრობთ ამჟამად?

– ჩემი მეუღლე, წარმოშობით კალიფორნიიდანაა და მისი სახელი და გვარია რობინ ლაიტნერი, გვყავს სამი შვილი: 7 წლის სოფიკო და ოთხწლინახევრის ტყუპები შალვა და ანა. ამჟამად ჩვენ ლონდონში ვცხოვრობთ.

– ბატონო გია, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, რა განსხვავებული და ეფექტურად მოქნილი პროგრამა გაგაჩნიათ ჩვენი ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური მოწყობის, წინსვლის?

– დავიწყოთ ბოლოდან, ჩემთვის პოლიტიკური მოწყობის მთავარი პრინციპია ხელისუფლების დანაწილება: აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებად. სისტემა უნდა იყოს დაყოფილი, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი და არ უნდა იყოს უზურპირებული რომელიმე სახელისუფლო შტოს მიერ. თუ ეს ამოცანა იქნა მიღწეული, მნიშვნელობა აღარ ექნება საქართველო საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება. ეს არის ჩემთვის ქვეყნის პოლიტიკური მოწყობის ფუნდამენტი. მეორე, რაც შეეხება ეკონომიკურ მოწყობას, მთელი ჩემი ცხოვრება ამაზე ფიქრსა და სწავლას მოვანდომე. ეს იქნება საზოგადოება, სადაც იქნება გარემო, რომ საქართველოში შეიქმნას, რაც შეიძლება ფართო საშუალო ფენა. ეკონომიკური სისტემა გამორიცხავდეს ერთი მუჭა მდიდრებისა და 99% ღარიბების თანაარსებობას. ეს არის ჩვენი ფუნდამენტალური პრინციპი, სადაც თუ არ გამამდიდრე მე, სხვა და თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანები თქვენ ვერ გამდიდრდებით, ანუ სიმდიდრე იქმნება არა თითო-ოროლა ადამიანისათვის, არამედ მოხდება ამ სიმდიდრის განაწილება, დიფუზია. აი, ამ ფუნდამენტურ ქვაკუთხედს ეფუძნება ჩვენი ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ჩვენი ზრუნვის საგანია ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება, ადამიანების მაქსიმალური დასაქმება. ჩვენთვის ეკონომიკური პოლიტიკა არის საგანმანათლებლო პოლიტიკა. XXI საუკუნე არის ეკონომიკის ცოდნის საუკუნე. თუ საქართველოს არ ეყოლება ეკონომიკის ცოდნის მუშაკები, ცოდნის საზოგადოება, ისინი თანამედროვე ეკონომიკას ვერ შექმნიან. თანამედროვე ეკონომიკა ვერ იქნება, თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკის გარეშე. ფუნდამენტი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა, არის სწორი ეკონომიკური და სწორი საგანმანათლებლო პოლიტიკა. მესამე განმასხვავებელი, რაც ჩვენ გვინდა, რომ წარმოვაჩინოთ ეს არის პიროვნების ღირსებაზე დაფუძნებული საზოგადოება, რაც არის ზნეობრივი სახელმწიფოს შექმნის ფუნდამენტი. ზნეობრივი სახელმწიფო არ დაუშვებს თითოეული თავისი მოქალაქის ზნეობრივ კომპრომისს. ანუ, ქართული სახელმწიფო უნდა დაეფუძნოს მოქალაქის ღირსების პრივატს. რომ სახელმწიფომ, მთავრობამ, საზოგადოებამ არ დაუშვას მოქალაქის, ინდივიდის სულიერ და ზნეობრივ კომპრომისებზე წასვლა, არამედ აღიარებდეს სახელმწიფოში მოქალაქის ზნეობრივ ღირსებას. ჩვენი კონცეფციის მიხედვით ჩვენი პარტია – „მომავლის პარტია“ ეფუძნება სამ სათნოებას: უფალი, სამშობლო, შვილები, რომელსაც

ვუძღვნით ჩვენს თავს, რომლის მსახურებისთვისაც მოვდივართ პოლიტიკაში.

– ბატონო გია, თუ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, თქვენი ოჯახი, რომელი ამღსარებლობის მიმდევარია?

– მე ვარ პირველი სტიქაროსანი სტუდენტი სიონის ტაძრისა 1978 წლიდან, როცა იდევნებოდა ეკლესიურობა. ჩემი მეუღლე და ჩემი შვილებიც მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან. ჩემი მეუღლე, ჯერ კიდევ ჩემს გაცნობამდე მოუნათლავთ თავიანთ მშობლებს მართლმადიდებელ ქრისტიანად ჰიუსტონში. ჩემი მეუღლეც ისეთივე ქართველია სულით და გულით, როგორც მე.

– თქვენ მოიაზრებით „გლობალისტ“ პოლიტიკოსად. როგორი იქნება თქვენი „გლობალისტური“ სტრატეგია ჩვენი პატარა ქვეყნის საქართველოს მიმართ, ლიბერალური თუ რეაქციული? რეაქციული „გლობალისტური“ პოლიტიკის შემთხვევაში გლობალისტურ პოლიტიკურ რუკაზე საქართველო და მრავალი ჩვენი მსგავსი პატარა ქვეყნები არ იარსებებენ. ჩვენ კი გადარჩენა და თვითმყოფადობის შენარჩუნება გვსურს.

– იმისათვის, რომ საქართველო გადარჩეს, აუცილებელია, რაც შეიძლება აქტიური წვლილი შეიტანოს მსოფლიო საკაცობრიო საგანძურში. თუ ეს ვერ შევძელით, მაშინ საქართველო მუდმივად იქნება ასეთ არასტაბილურ მდგომარეობაში, ყოველთვის სხვისი დახმარების შემყურე და გაქრობის ზღვარზე მდგომი. გლობალიზაცია ნიშნავს დაახლოვებას, კულტურული ბარიერების მოშლას, გაერთფეროვნებას. ამ ისტორიულ პროცესში, რა თქმა უნდა არსებობს საშიშროება ჩვენი კულტურის ნიველირებისა და მირწყმის გაბატონებულ კულტურასთან. ამისგან თავის დასაცავად აუცილებელია კულტურული ფილტრების არსებობა; ის, რაც მოდის საზღვარგარეთიდან, საკუთარი კულტურის ფილტრში უნდა გაატარო და მიიღო მხოლოდ ის, რაც შენთვის მისაღებია, ხოლო მიუღებელი უკუაგდო. ამის უნარი უნდა გაგაჩნდეს. თუ ჩვენ პასიური მიმღები ვიქნებით ყველაფრისა, მაშინ ჩვენ მომავალი არა გვაქვს. ჩვენ უნდა ვიყოთ აქტიური მიმღები და აქტიური გამცემი ჩვენი კულტურისა, როგორც მატერიალური, ასევე სულიერი. გლობალიზაცია, თავისთავად, არც დადებითია და არც უარყოფითია. აი, წარმოიდგინეთ მზე, რომელსაც შეიძლება გასათბობად მიეფიცხო, მაგრამ ზედმეტად დიდხანს რომ გაჩერდეთ მზის გულზე, შეიძლება დაგწვათ და გაგანადგუროთ. გლობალიზაციაც ზუსტად ასევეა, მისგან თავი უნდა დაიცვა და გამოიყენო კიდეც შენს სასარგებლოდ. ჩვენ არ უნდა დავკარგოთ ჩვენი ფუნქცია კაცობრიობაში, ჩვენი წვლილის შეტანით მსოფლიო საგანძურში, ჩვენ უნდა გავხდეთ საჭირო კაცობრიობისათვის. მე მინდა, რომ საქართველო ყოველთვის იყოს საკაცობრიო ფუნქციის მატარებელი სახელმწიფო.

– თქვენი პრეზიდენტობის შემთხვევაში, როგორ გესახებათ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური მოწყობა, როგორი იქნება ჩვენი სახელმწიფო, უნიტარული თუ ფედერალური და იქნებ მონარქიულ მოწყობის მოდელზეც გვითხრათ თქვენი მოსაზრება.

– აუცილებელია თვითმმართველობის აქტივიზაცია რეგიონებში, ადგილებზე. ცენტრალიზებული მმართველობა დამახასიათებელი იყო საბჭოთა სისტემისათვის. ამავე დროს წინააღმდეგი ვარ იმსა, რომ საქართველოს სახელმწიფო იყოს დაქუცმაცებული, არამედ იგი უნდა იყოს ერთიანი, უნიტარული სახელმწიფო დაფუძნებული ძლიერ ადგილობრივ თვითმმართველობას. აფხაზებსა და ოსებსაც ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ საქართველო არის ჩვენი საერთო სამშობლო. ჩვენი მოდელი ასეთია: საქართველო აფხაზეთია, აფხაზეთი – საქართველოა. რაც შეეხება მონარქიულ მოწყობას, მე ვემხრობი სახელისუფლო შტოების განცალკევების მოდელს და მათ დამოუკიდებლად ფუნქციონირებას. ეს შესაძლებელია მოხდეს, როგორც საპრეზიდენტო მმართველობით, ასევე საპარლამენტო მმართველობითაც. საპარლამენტო მმართველობის ფორმაა, როგორც კონსტიტუციური მონარქია, ასევე სიმბოლური პრეზიდენტი. ჩემთვის, ვიმეორებ, მთავარი და მისაღებია ხელისუფლების შტოების დაყოფის პრინციპი. შინაგანად, ემოციურად, სენტიმენტალურად მე ნაწილი ვარ მონარქიული ტრადიციისა, მაგრამ პრაქტიკულად მის აღდგენას მრავალი სერიოზული პრობლემები ახლავს და ეს საზოგადოებამ კარგად უნდა გააცნობიეროს, გადაწყვეტილების მიღება ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მე ნაადრევად მიმაჩნია, თუმც კი, მთელი სულით და გულით ნაწილი ვარ ამ ტრადიციისა.

ესაუბრა

ქეთევან ჭანტურია

P.S. *მაისაშვილის პოლიტიკურად გაუთვლელმა განცხადებამ: „...თუ პირველ ტურში გაიმარჯვა ოლიგარქმა (იგულისხმა პატარკაციშვილი – ქ.ჭ.) მაშინ მე საკაშვილის გვერდით დავდგებიო'', ცხადყო რომ იგი საკაშვილის პოლიტიკური ოპონენტი არ არის, არამედ, სამომავლოდ მისი კეთილგანწყობის მოპოვებასაც ცდილობს, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ამომრჩეველთა გადაწყვეტილებაზე.*

უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

"შპიგელ" 12.11.07

სახელმწიფო კრიზისი საქართველოში

ეს მანიპულაციაა და არა დემოკრატია

ტაქტიკური სვლა: ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნებით საქართველოში სააკაშვილი ოპოზიციის პარალიზებას ახდენს და თავის ძალაუფლებას განამტკიცებს. შპიგელ ონლაინ-თან ინტერვიუში აღმოსავლეთ ევროპის ექსპერტი ციუხერი განმარტავს, რატომ გრძელდება კრიზისი საქართველოში.

შპიგელ ონლაინი: რა შანსი აქვს ოპოზიციას ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვების?

ციურხერი: ალბათ სააკაშვილის ყოფილი თანამებრძოლებიდან ერთ-ერთი ჩაუდგება სათავეში გაერთიანებულ პარტიებს, ოპოზიციის პოლიტიკური მოთხოვნები ხომ დიდად არ განსხვავდება სააკაშვილის პოლიტიკური მოთხოვნებისაგან. ეს მოთხოვნებიც ნაციონალისტური, პოპულისტური და ანტი-რუსულია.სამოქმედო პროგრამისა და კონცეფციის გარეშე. ამიტომ სუსტი ოპოზიციური გაერთიანება სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება. ეს გაერთიანება ემყარება მარტო სააკაშვილის უარყოფას.

შპიგელ ონლაინი
ვინ არიან ოპოზიციის ლიდერები?

ციურხერი: სააკაშვილის ყოფილი კოლეგები, რომლებმაც მასთან ერთად მოახდინეს „ვარდების რევოლუცია“. ისინი იმედგაცრუებულნი არიან. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თითქმის უფუნქციო გახადა პარლამენტი და გააძლიერა სამინისტროების როლი. ეს ეხლა მისთვის საბედისწერო გამოდგა. ამის მაგალითია ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. ის სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს იყო გენერალური პროკურორი და შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრი, ვიდრე ის ბოლოს თავდაცვის მინისტრი გახდებოდა. ნიშანდობლივია, რომ მას ეჭირა ყველა სახელისუფლებო პოსტი პრეზიდენტის მთავრობაში. შემდგომ ის 2006 წელს წაეჩხუბა პრეზიდენტ სააკაშვილს და ოპოზიციაში გადაბარგდა.

შპიგელ ონლაინი: პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუჩაში გამოსული ხალხის ზეწოლით უკანასკნელ წუთებში განაცხადა თანხმობა და დანიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. არის თუ არა ეს პრობლემის დემოკრატიული გადაჭრა?

ციურხერი: ეს ნაბიჯი არის მანიპულირება და არა დემოკრატიული, სამართლიანი და თავისუფალი არჩევნების ჩატარების გარანტია. მარჯვე საჭადრაკო სვლა, რათა ოპოზიციის პარალიზება მოახდინოს. ოპოზიციას ერთ – საერთო ლიდერზე შეთანხმების არანაირი შანსები არა აქვს. ამისთვის ის მეტისმეტად დანაწევრებულია, პრეზიდენტი აკონტროლებს უკლებლივ ყველა მედია საშუალებას. საქართველოში ამით ოპოზიცია მოკლებულია კამპანიის წარმოების შანსს, რათა მისი პოზიცია გააცნოს საზოგადოებას. ამ ვითარებაში შეიძლება სააკაშვილმა კრიზისი დაძლიოს და არჩევნებში გამარჯვება მოიპოვოს.

შპიგელ ონლაინი: რა იყო მიზეზი იმისა, რამაც ათასობით ადამიანი თბილისის ქუჩებში გამოიყვანა?

ციურხერი: ოპოზიცია ჭრელი შემადგენლობითაა წარმოდგენილი მისი პოლიტიკური სპექტრი მდიდრდება მემარჯვენე და მემარცხენე ძალებით. მათ შორისაა ადამიანები, არამარტო დედაქალაქიდან, არამედ რეგიონებიდანაც. თბილისს გარეთ ბევრია იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც გასულ წლებში სააკაშვილის მმართველობის დროს ბევრი ტანჯვა-წვალების გადატანა მოუხდათ. ის რომ, ეს ადამიანები ყველა ერთის წინააღმდეგ გამოვიდა ქუჩაში, აჩვენებს, რა ურთიერთსაწინააღმდეგო ქმედებები ახასიათებს პრეზიდენტ სააკაშვილს.

შპიგელ ონლაინი: რატომ არ მყარდება სიმშვიდე საქართველოს რესპუბლიკაში?

ციურხერი: კრიზისის მიზეზი თავად სააკაშვილია. ის ქვეყანას ნაციონალური და პოპულისტური პოლიტიკური სტილით მართავს და დემოკრატიის ნაცვლად დემაგოგიას ეყრდნობა. ეს მეტისმეტად დიდ დესტაბილიზაციას იწვევს. საქართველოში სიმშვიდე მაშინ ისადგურებს,

სანამ ოთხი ან ხუთი ჯგუფი ძალაუფლებას იყოფს. კონფლიქტები მაშინ ჩნდება, როცა სახელისუფლებო ჯგუფები ერთმანეთს წაეკიდება.

შპიგელ ონლაინი: ოპოზიცია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ავტორიტარულ მმართველობასა და კორუფციაში სდებს ბრალს. ასეთი იყო მათი არგუმენტები, აგრეთვე ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის წინაღამდეგ. 2003 წლის ვარდების რევოლუციის წინ.

ციურხერი: საყვედურები სამართლიანია. საქართველოში განსხვავებულ სახელისუფლებო დაჯგუფებებს შორის კონსესუსის მიღწევა უკვე შეუძლებელია. ყველაფერი პირიქითაა, სააკაშვილმა შეასუსტა პარლამენტის ფუნქცია და გააძლიერა საკუთარი აღმასრულებელი ხელისუფლება.ამასთანავე ის, ვარდების რევოლუციის დროს შევარდნაძის წინააღმდეგ ზუსტად ასეთივე არგუმენტებით გამოდიოდა. დღეს ის ისევე იქცევა, როგორც მისი წინამორბედი და ამით იწვევს გაკვირვებას. მისი პოლიტიკური სისტემა რუსეთსა და თეთრ რუსეთს შორის მერყეობს.

შპიგელ ონლაინ: სააკაშვილი საგანგებო მდგომარეობას რუსეთიდან პუტჩის მცდელობით ამართლებს. მართალია თუ არა ეს?

ციურხერი: რუსეთი აქ თითქმის არანაირ როლს არ თამაშობს. კრიზისი აშკარაა – შიდაა. მაგრამ სააკაშვილი შეთქმულების თეორიით სარგებლობს, რათა თავისი ძალაუფლება განიმტკიცოს. ეს მუდამ იყო მისი პრო-დასავლური და ანტირუსული პოლიტიკის მტკიცე შემადგენელი ნაწილი. ის ხელისუფლებაში რუსეთისადმი მტრული განწყობილებით მოვიდა და ქართულმა სახელმწიფომ ამის გამო გასულ წლებში ბევრი უბედურება გადაიტანა – მოხდა ქართული ღვინის ექსპორტის აკრძალვა რუსეთში, უარი ეთქვა ქართველ მუშახელს სამუშაო ვიზაზე, რომლებიც მოსკოვში ფულს შოულობდნენ და სახლში გზავნიდნენ, ის ეხლაც ცდილობს ყველაფერი რუსებს გადააბრალოს.

შპიგელ ონლაინი: და რა როლს თამაშობს აშშ?

ციურხერი: აშშ საქართველოს იყენებს როგორც სათამაშო ბურთს თავის ანტირუსული პოლიტიკისთვის. გეოსტრატეგია, რომელსაც ამერიკა კავკასიაში და კასპიის ზღვის რეგიონში იყენებს, საშიშია. ის სააკაშვილს ზურგიდან იცავს, რადგან ის სანიმუშო დემოკრატად მოამზადეს. თუმცა ის ასეთი არ არის.

შპიგელ ონლაინი: რამდენადაა შესაძლებელი მომავალში სტაბილურობა?

ციურხერი: საქართველოში კონფლიქტები კიდევ დიდხანს იქნება. ამაზე უნდა შევთანხმდეთ. არ არსებობს გონივრული გამოსავალი ამ ვითარებიდან, რადგან სააკაშვილმა შეასუსტა თამაშის ყველა წესი, რომელთა საშუალებითაც ასეთი სახელისუფლებო პოლიტიკური დავების მშვიდობიანი მოგვარება შეიძლებოდა. ორი პროვინცია, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, რუსეთთან შეერთებას ცდილობს. ეს საქართველოს მთლიანად დაჩეხავს. საქართველო სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მეტისმეტად ძლიერ შეიარაღდა. უწინდელი არმია მოძველებული და სასაცილო იყო, სამი წელია სახელმწიფო მისი ბიუჯეტის 25% ხარჯავს შეიარაღებაზე.

სახელმწიფო ხელისუფლება ქმედითუნარიანია, თავისი მიზნები განახორციელოს.

შპიგელ ონლაინი: როგორ შეუძლია დასავლეთს ვითარების სტაბილიზაციაში წვლილის შეტანა?

ციურხერი: სააკაშვილზე ყოველი მხრიდან უნდა მოხდეს ზეწოლა, რომ საგანგებო მდგომარეობა გააუქმოს და საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის გაზაფხულზე ჩაატაროს. რადგან ეს შიდა პრობლემაა, დასავლეთს ამჟამად არანაირი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კონფლიქტის მოგვარებაზე. ევროგაერთიანებამ მკაფიოდ უნდა აჩვენოს, რომ დახმარება ასეთ პირობებში მუდმივი არ იქნება. სააკაშვილმა, როგორც სანიმუშო დემოკრატმა თავისი ნდობა საბოლოოდ დაკარგა.

კრისტოფ ციურხერი არის ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის პროფესორი და ექსპერტი საქართველოს საკითხებში.

ინტერვიუს უძღვებოდა: სიმონე შლინდვაინი

გერმანულიდან თარგმნა
რუსუდან ქუტიძემ

უიმედობაში ჩავარდნილი სოფელი კუჭატანი

ბოლო წლების დუხჭირმა ცხოვრებამ, მკვეთრად იმოქმედა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, საგრძნობლად გააუარესა ადამიანთა სოციალური ყოფა; სამედიცინო მომსახურება და წამლები ძალზედ გაძვირდა. ხელფასი და საარსებო საშუალებანი კი მწირია.

ყოველი ქართული ტრადიციული ოჯახი შთამომავლობით ფლობდა აუცილებელ სამედიცინო ცოდნას და საჭიროებისას ეფექტურადაც იყენებდა მას. ზამთრისათვის ისე იმარაგებდნენ სამკურნალო მცენარეებს, როგორც სარჩო-საბადებელს. ზოგი სამკურნალო მცენარე ბოსტანშიც მოჰყავდათ.

მე, როგორც „კავკასიის მშვიდობის მისიის“ კავშირის წევრი, კავშირის თავმჯდომარის მამა კონსტანტინე კოღუაშვილის ლოცვა-კურთხევით, ამა წლის ზაფხულში ყვარელის რაიონში გავემგზავრე, კერძოდ სოფელ კუჭატანში. ჩვენი კავშირის აქტიური წევრის დათო ქიზიყურაშვილთან, რომელმაც თავის თავზე და ოჯახის წევრებზეც გამოსცადა ბუნებრივი და ხალხური მეთოდებით ჩვენეული მკურნალობის ეფექტი. ჩვენ მას გავაცანით ჩვენი კავშირის საქველმოქმედო გეგმა, – ფონიჭალის წმინდა თამარ მეფის ეკლესის უსინათლო მრევლისათვის (მოძღვარი მამა კონსტანტინე) არომატული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფის შესახებ (ასკილი, ბეგქონდარა, კუნელის ყვავილი, ტყის პიტნის, ცაცხვის და სხვა) და მანაც გამოთქვა სურვილი დაგვხმარებოდა მცენარეული ნედლეულის შეგროვებაში. ამ საქველმოქმედო საქმიანობისთვის ჩასული, უნებლიე მოწმე გავხდი სოფელ კუჭატანში არსებული ისეთი პრობლემისა, როგორიც არის ადგილობრივი მოსახლეობის საძოვრებით სარგებლობის საკითხი. სოფლად რადიკალური რეფორმის განხორციელება, საზოგადოებრივი მეურნეობების გლეხურ-ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნა რთული და მრავალწახნაგოვანი პრობლემაა. აქ მეტისმეტი რადიკალიზმი, აჩქარება დამღუპველია. აუცილებელია რაიონში და კერძოდ სოფელში შექმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური

მდგომრაეობის ყოველმხრივი გათვალისწინება.

პირველ რიგში მხედველობაში მაქვს მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემა, მისი ყიდვა-გაყიდვის პრობლემა, რომელიც კუჭატნელებისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხია და მის სწორ გადაწყვეტაზე ბევრად არის დამოკიდებული სოფლის ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

მაშინ, როდესაც არა მარტო კუჭატანში, არამედ სოფლებში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა სერიოზული და დამაფიქრებელია, ნაცვლად გონივრული და ეფექტური მოქმედებისა, ძვირფას დროს უსაგნო საუბრებში ვატარებთ.

„რანიცა ვართ, გზაც ისეთი შესაფერისი გვაქვს, ერთი კი ცხადია, ეს ის გზა არ არის, ტაძართან რომ მიგვიყვანს“ – ამბობს გულდაწყვეტილი ჩემი მასპინძელი დათო ქიზიყურაშვილი.

დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით. წარსული და მომავალი აწმყოშია, ეს დღე ჩვენ გვეკუთვნის.

არაქათგამოცლილ, ნახევრად დაცარიელებულ სოფელში მტანჯველი დუმილი გამეფებულა. სოფლის მოსახლეობის ყველაზე დიდი უბედურება სოფლის საძოვრების საკითხია. წლების მანძილზე მიმდინარე სადაო საკითხი ერთეულების სასარგებლოდ გადაუწყვეტიათ. სოფლის მოსახლეობის სრული იგნორირებით, პარტიზანულად, მოტყუებით, ცრუ დაპირებებით, სასამართლოების შეცდომაში შეყვანით.

სოფლის მოსახლეობამ არ იცის, აქვს თუ არა სოფელს საძოვარი, სად და რამდენი ჰექტარი.

ამის თქმის საფუძველს იძლევა ის დოკუმენტური მასალა, რომელიც, როგორც იქნა ხელთ ჩაუვარდა სოფლის რამოდენიმე მაცხორვრებელს, სადაც თეთრზე შავით წერია: „სააპელაციო პალატა საქმეზე წარმოდგენილი ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსის წერილის ანალიზითა და მხარეთა წარმომადგენლების ახსნა-განმარტებების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ 37 ჰა მიწის ნაკვეთის ნ. საფარაშვილზე გაცემით არ ილახება სოფლის მოსახლეობის ინტერესები და ამასთან ეს ფართობი არ შედის სოფელ კუჭატნის გამგეობაზე ყვარლის რაიონის გამგეობის დადგენილებით გაცემულ 104,0 სოფლისპირა საძოვრის ფართობში.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სოფელ კუჭატნის გამგეობას არ გაუფორმებია 104 ჰა საძოვარზე საიჯარო ხელშეკრულება“.

დღევანდელი დუხჭირი ცხოვრებისაგან გათანგულ სოფლის მოსახლეობას აინტერესებს სოფელს აქვს თუ არა საძოვარი, სად და რამდენი ჰექტარი. საინტერესოა ყვარლის რაიონის მიწის მართვის სამმართველოს უფროსმა (კევლიშვილი) წერილის რა ანალიზი წარუდგინა სასამართლოს, ან რის საფუძველზე გააკეთა დასკვნა, რომ 37 ჰა მიწის ნაკვეთის კერძო პირზე გაცემით არ ილახებოდა სოფლის მოსახლეობის ინტერესები და თუ სოფლისპირა საძოვრის 37 ჰექტარი არ შედის კუჭატნის თემზე გამოყოფილ 104,0 ჰექტარში, რატომ იხდის მოსახლეობა თვეში ერთ სულ საქონელზე ერთ ლარ გადასახადს. ისმის კითხვა, სად არის სოფლის საძოვარი?

2004 წლიდან სოფელი შეშფოთებულია, გაურკვევლობაშია, წელში გამწყდარია, უიმედობაში ჩავარდნილნი ვერ ამრავლებენ მსხვილფეხა საქონელს საძოვრების არქონის შიშით.

ამირან ნანობაშილი,
„კავკასიის მშვიდობის მისიის“ კავშირის წევრი,
სამკურნალო მცენარეთმცოდნე.

ნინო კვირიკაძე

იგი ქართველთა განმანათლებლის სახელს სიამაყით იმშვენებდა.

უმანკო, უმწიკვლო ქალწული ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, – დედობას ვერ ეღირსა.

ვაი, რომ გამოუყენებელი დარჩა ისტორიკოსის დიპლომი. იგი ერთ-ერთი დამაარსებელი იყო თავისუფალი ეროვნული გაზეთის „თვალთაისა“.

გულმხურვალე მამულიშვილს იდეური თანამოაზრეობის დასტურად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ, ნინოს საკუთარი ორი წიგნი, პირადი ავტოგრაფით აჩუქა.

წავიდა ჩვენგან სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა, ღვთის მოშიში და ნათესავ-ახლობელთათვის საფიცარი.

წავიდა ჩვენგან ძვირფასი ნინო და დაგვიტოვა უზომო გლოვა და მწუხარება.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ამინ!

ოჯახი, ნათესავ-ახლობლები

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სამძიმარს უცხადებს ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წევრს ბ-ნ გივი კვირიკაძეს შვილის

ნინო კვირიკაძის

გარდაცვალების გამო და იზიარებს მის ულრმეს მწუხარებას.

უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

ლერ თაგესშპიგელ
ევროგაერთიანება აკრიტიკებს საქართველოს ძალადობა პროტესტანტების წინააღმდეგ

ამერიკის საჩოთირო მოკავშირეები

ბურკჰარდ ბიშოფ

ოთხი წლის წინათ ხალხის მშვიდობიანმა პროტესტმა გადადგომა აიძულა ღრმა კორუფციაში ჩაფლულ საქართველოს სახელმწიფო მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს. ხელისუფლებაში მაშინ ენერგიული (ევროპასა და აშშ-ში განათლებამიღებული) განსწავლული ახალგაზრდა კაცი მოვიდა, რომელიც ქვეყანას დასავლური ტიპის დემოკრატიისაკენ პირდებოდ წაყვანას. ეს იყო მიხეილ სააკაშვილი. დღეს ბევრი ქართველი სააკაშვილს იმასვე საყვედურობს, რისთვისაც, ისინი 4 წლის წინათ ქუჩაში გავიდნენ შევარდნაძის წინააღმდეგ, რომ ის ავტორიტარი, პარანოიდი და კორუმპირებულია. ის ხალხის პროტესტზე სისასტიკით რეაგირებს. ის უგზავნის თავის ჯალათ პოლიციელებს მოწინააღმდეგეებს, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას. ავრცელებს ბნელი შეთქმულების თეორიებს, რომ ყველა საპროტესტო გამოსვლის უკან რუსები დგანან. ვარდების რევოლუციას, მაშასადამე, საქართველოში მოჰყვა ვითარება – როცა რევოლუცია ჭამს თავის შვილებს, რჩება მხოლოდ ეკლები.

უპირველეს ყოვლისა მიხეილ სააკაშვილს დიდ შეფასებას აძლევდა დასავლელი წამყვანი ლიდერი ჯორჯ ბუში.

ჯორჯ ბუში ეწვია მას საქართველოში, მას სურდა სააკაშვილი წარმოედგინა სანიმუშო დემოკრატად შავი და კასპიის ზღვებს შორის რეგიონში და რა სურათია ეხლა: „სანიმუშო დემოკრატი“ აწამებს მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ყრის მათ ციხეებში, აიძულებს მათ დატოვონ ქვეყანა, ხურავს კრიტიკულ მედიას და ქვეყანას მართავს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით.

ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრეებს ქართველ ხალხს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს



მოწოდება – ღია წერილი, 2007 წლის მიწურულისა და 2008 წლის დამდეგის მოვლენებზე

2007 წლის სექტემბერ-ნოემბერში ანტიეროვნული ძალების იმ ნაწილმა, რომელიც ხელისუფლების გარეშე დარჩა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოინდომა რა გავლენის სფეროების გადანაწილება, ნაცმოძრაობის შინაგანი და საგარეო პოლიტიკით ქართველი ხალხის მასობრივი უკმაყოფილების ფონზე მოაწყო ფართომასშტაბოვანი პროვოკაციები, რომელიც მოსალოდნელი და იოლად პროგნოზირებადი სავალალო შედეგით – მასობრივი რეპრესიებით დასრულდა და ხალხისათვის საძულველი ანტიეროვნული რეჟიმის დროებითი განმტკიცება გამოიწვია.

ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება 2007 წლის სექტემბრიდან აფრთხილებდა ქართველ ხალხს არ ჩარეულიყო ანტიეროვნულ ძალებს შორის შინაბრძოლაში. სამწუხაროდ ეს ვერ მოხერხდა და ისევე, როგორც „ვარდების რევოლუციის“ დროს, სწორედ ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრეები აღმოჩნდნენ მოვლენათა მთავარი მონაწილენი და ყველაზე მეტად სწორედ ისინი დაზარალდნენ რეპრესიებისაგან.

განვითარებულმა მოვლენებმა ნაცმოძრაობის ხელისუფლებას ჩამოჰხია ფარისევლური დემოკრატიის ნიღაბი და ნათლად გამოჩნდა მისი მხეცური სახე და აფთრული ხასიათი. გამჟღავნდა, რომ ნაცმოძრაობის ხროვას საქართველო ბარაბას გზით მიჰყავს.

ამჟამად მმართველი ანტიეროვნული ხროვა ცდილობს საკუთარი მმართველობის განმტკიცებისა და ლეგიტიმიზაციის მიზნით ჩაატაროს პლებისციტისა და არჩევნების ფარსი, რომლითაც იგი შეეცდება კიდევ უფრო გაახანგრძლივოს ანტიეროვნული ძალების დიქტატურა საქართველოში.

ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრეებს შევახსენებთ, რომ საქართველოში გამეფებული უკანონობისა და განუკითხავობის მთავარი და ძირეული წყარო იყო, არის და იქნება სახელმწიფოებრივ დონეზე ლეგიტიმურობის ტოტალური მოსპობა 1991-1993 წლების ანტიეროვნული პუტჩის შედეგად.

ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლების მომხრეებს შევახსენებთ, რომ არჩევნების დანიშვნის უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს ლეგიტიმურ ხელისუფლებას და რომ ნებისმიერი სხვა არჩევნები იქნება უკანონო და არალეგიტიმური – ამდენად, ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ პრობლემას, რომელიც საქართველოს წინაშე დგას.

კვლავ, ისევე როგორც 2007 წლის სექტემბერში, მოვუწოდებთ ქართველ ხალხს, ხვიად გამსახურდიას ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლების მომხრეებს თავი შეიკავონ ნებისმიერი პირის, ნებისმიერი პოლიტიკური ორგანიზაციის მხარდაჭერისაგან, რომელსაც:

ა) მონაწილეობა აქვს მიღებული 1991-1993 წლებში ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში;

ბ) აქტიურად, ღიად და ცალსახად არ უჭერდა 1991-1993 წლებში მხარს ლეგიტიმურ, ეროვნულ ხელისუფლებას; ლეგიტიმურობის შენარჩუნებას;

გ) ამჟამად – ცალსახად არ აღიარებს ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლების განდევნის კრიმინალურ, ანტისახელმწიფოებრივ, მოღალატურ ხასიათს;

დ) ამჟამად – პრინციპულად და დაჟინებით არ მოითხოვს ლეგიტიმური, ეროვნული ხელისუფლების განდევნაში მონაწილე კერძო პირებისა და ორგანიზაციების სასამართლო დევნას.

ქართველ ხალხს, ეროვნული ხელისუფლების მომხრეებს მოგიწოდებთ:

– მოითხოვეთ პირობების შექმნა ეროვნული მოძრაობის ორგანიზაციების საქმიანობისა და ეროვნული ხელისუფლების აღდგენისათვის!

– ნუ წამოეგებით ანტიეროვნული ძალების ახალ ფანდებსა და ხრიკებზე!

ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების პრემიერ-მინისტრი
ბესარიონ გუგუშვილი
2007, 9 ნოემბერი, ფინეთი

რატომ არ უხარიათ ჩვენს მტრებს ჩვენი დამოუკიდებლობა (მხოლოდ ფაქტები)

ჩვენი მიზეზით, არც ერთ ჩვენს მოსაზღვრე მეზობელთან მტრობა არ გამოგვიჩენია. ჩვენმა სტუმართმოყვარეობამ კი ყველა ისე გაათამამა, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა დროში იწყეს ჩვენი მიწების მითვისება; რუსეთმა – სოჭი, თურქეთმა – ტაო, სომხეთმა – ლორე, აზერბაიჯანმა – საინგილო. ოსებმა – ცხინვალის მხარე, ხოლო გასახლებულ ჩეჩენ-ინგუშების მიწები მეზობელ მთიელებს მიეცათ. რეაბილიტაციისთანავე ქართველებმა დათმეს სხვისი კარ-მიდამო და თითო შინაური საქონელიც დაუტოვეს. ახლა მათ, გასაჭირს პანკისში ცხოვრებითაც ვუადვილებთ.

გასული საუკუნის 70-იან წლებში პლასტუნკაში (სოჭის ახლოს) ვიყავით ქართული სკოლის მასწავლებლებთან შესახვედრად. იქ ქართულ სასაფლაოსაც კი რუსული წარწერები ჰქონდა და ქართული სკოლაც მალე დახურეს.

იმავე საბჭოთა დროში საინგილოში მოვაწყვეთ ექსკურსია ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლების და მათი შვილებისათვის. სასტუმროში ადგილების დასაჯავშნად წინასწარ დეპეშაც გავგზავნეთ. იქ უარი დაგვახვედრეს და მოლაპარაკება დადებითად იმან გადაწყვიტა, რომ აზერბაიჯანელი რაიკომის მდივნის მეუღლე ბულგარელი იყო (მოსკოვში სწავლების დროს შეხვედროდა). მერე იმით გაგვამწარეს, რომ მილიცია დაგვაყენეს თავზე, ერთ ოთახში ჭამენ ქალები და კაცებიო, ჩვენი საგზალი კინაღამ წაგვამწარეს.

მეორე დღეს გიორგობა იყო და საინგილოს ქართული მოსახლეობა უმოქმედო ეკლესიისაკენ მაინც მიისწრაფვოდა. აკვნებიანად წამოსულიყვნენ ღამისთევით და შესაწირებით. ქართველებისათვის მისასვლელი გზები ჩაეკეტათ, შემოვლით მიდიოდნენ. გზაში ავტობუსში 20 ინგილო ჩავისვით, მალე ჩამოსხდნენ – თქვენ ჩვენს გამო უსიამოვნება არ შეგხვდეთო. ვიდრე ერთად ვიყავით ვმღეროდით და ვტიროდით: „ამას ამბობდა ქართველი, სპარსეთში გადახვეწილი, რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მაინც დავრჩები ქართველი“.

ეკლესიასთან მისასვლელი გზის მთელ მანძილზე ჩვენი მიწოდებული ძღვენის მოლოდინში თათრები ისხდნენ. ეკლესია პატარა იყო და ანთებული სანთლები ეკლესიის კლდეზე მივამაგრეთ. ჩვენ – მიწა-წართმეულები და ამით დაჩაგრულები მაინც ამაყად, მაგრამ მწარე ფიქრით აღვსილი შევყურებდით სანთლებით განათებულ კლდეს.

ახალგაზრდა ინგილოებთან სურათი გადავიღეთ. ვიკითხეთ, რას აკეთებთ, სად მუშაობ-თქო. არსადო, სადაც ისწავლეთ, იქ იმსახურეთო, – გვეუბნევიან საქართველოში სწავლა-განათლება მიღებულებსო.

მთავრობამ რამდენიმე ათეული ადგილი გამოყო თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მათ ჩასარიცხად. შეღავათი უსათუოდ სჭირდებოდათ. ჩვენს ინსტიტუტში ვიბარებდი და ქართულის გაკვეთილებს იქ ვუტარებდი. გამომიტყდნენ – ჩვენ „მ“-სა და „გ“-ს ვერ ვარჩევთო. ნიშანს თამბაქოს კრეფაში გვიწერენო. გვარებიც ორმაგი ჰქონდათ – ქართულ-თათრული, რელიგია – მაჰმადიანური. ანთებული თვალებითა და ბრგვილი ქართულითაც საყვარელი არსებები იყვნენ.

ეროვნული გმირის – მერაბ კოსტავას გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს ბოლნისის სიონისაკენ დავიძარით ეროვნული დროშებით.

იქ მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა ჩვენს ავტობუსს ქვები დაუშინეს.

შაბათ-კვირას ერევნის სანახავად წავედით ექსკურსიაზე. კარგად შეგვხვდნენ, თავიც მოგვაწონეს, მაგრამ მაღაზიის, არც ერთმა გამყიდველმა ყველი არ მოგვყიდა – ორშაბათს მოდითო. მათი უნივერსიტეტის მთელ კედელზე ინკრუსტირებული სურათი იყო მესროპ მაშტოცისა. განმარტებაში ეწერა, რომ იგი სომხური, ქართული და ალბანური დამწერლობის ავტორია. ამაო იყო ჩვენი მტკიცება, რომ მესროპამდე (ფარნავაზის დროს, III ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე) გვქონდა დამწერლობა.

ინსტიტუტის პროფკავშირი საშუალებას იძლეოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ადგილი მოგვენახულებინა. გავემგზავრეთ ჯავახეთში. სხვა ძეგლებთან ერთად X საუკუნის ფიტარეთის ულამაზესი ტაძარიც ვნახეთ. უდაბურ ადგილზე იდგა გარშემო მიწურებში დასახლებული სომხებით. პოეტი სილვა კაპუტიკიანი, თურმე, ჩამოუვლიდა და ურჩევდა, აქედან არ დაიძრათო – ეს თქვენი ისტორიული მიწაა. ეკლესიას კი ხუცური ქართულით ეწერა, რაც იმ უწიგნურ მოსახლეობას სომხურად მიაჩნდა.

გამოგვივარდნენ და ქვები დაგვიშინეს. აღშფოთებულნი დავბრუნდით.

სპიტაკის ტრაგედიის დროს, ჩვენმა ხალხმაც გაუწია სომხეთს დახმარება.

დაინგრა საბჭოეთი. ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ჩვენი მეზობლები, გარდამითვისებულისა,.საკუთრივ ქართულ სახელმწიფოშიც მრავლად სახლობენ. დღევანდელ აფხაზეთში სომხები 60 ათასიაო, ქართველები კი დევნილები არიან.

განათლების მინისტრი თანხმლები პირებით საინგილოში ჩავიდა ქართველ მოსწავლეებთან შესახვედრად. წიგნები დაურიგეს, მოიკითხეს.

ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მოსწავლეებს წიგნები ჩამოართვა და მინისტრთან შეხვედრაზე მისვლა აუკრძალა. ვინც გაბედა, ყველა აღრიცხეს!

VI საუკუნეში კლდეში ნაშენ ქრისტიანულ ძეგლს – დავით გარეჯს გვედავებიან.

ჩვენ ძეგლებს ვუდგამთ მათ პოლიტიკურ ლიდერებს, კეთილად ვღებულობთ, ძმობასაც გვეფიცებიან, მაგრამ მითვისებულ მიწაზე ფეხის დადგმას გვიკრძალავენ. დემოკრატიის პირობებში მაინც არ ველოდით ამას. ჩვენისთანა მრავალეროვანი პატარა ქვეყანა სადაა?! რატომ არ უხარიათ ჩვენს მეზობლებს ჩვენი დამოუკიდებლობა?!

ლია ანდღულაძე

მატყუარა პრეზიდენტი

პროფესიით პედაგოგი 1992 წლიდან უმუშევარი და ქირით მაცხოვრებელი ვარ. პრეზიდენტ სააკაშვილისა და ჯანდაცვის მინისტრ ტყეშელაშვილისეულმა ე.წ. „უმუშევართა სახელმწიფო დასაქმების პროგრამამ“ იმედი ჩამისახა, რომ ბოლოს და ბოლოს ვიშოვიდი სამსახურს და მცირედით შევიმსუბუქებდი გაწამებულ ყოფას. წინა ღამითვე დავიჭირე თადარიგი, რათა როგორმე შემეღწია ნაძალადევის დასაქმების სარეგისტრაციო პუნქტში. მაგრამ იქ მისულს, სწორედ რომ „მეორედ მოსვლის“ ტრაგიკული სურათი დამხვდა; მრავალწლიანი სიღატაკითა და უმუშევრობით გამწარებული ხალხი ერთმანეთს არ ინდობდა და მხოლოდ თვითგადარჩენის ინსტიქტით მოქმედებდა, როდესაც მეორე დღის საღამომდეც ვერ შევაღწიე შენობაში, სხვადასხვა რაიონების სარეგისტრაციო პუნქტებს მივაშურე. ყველა პუნქტში მხოლოდ ათეულობით ადამიანი თუ ახერხებდა შესვლას. მინისტრმა ტყეშელაშვილმა კი მეორე დღესვე გამოაცხადა, რომ რეგისტრაცია უკვე 40 000 უმუშევარმა გაიარაო. მესამე დღეს კი – 150 000-მაო და რეგისტრაცია შეწყვეტილად გამოაცხადა. მე, რეგისტრაციის გარეშე დარჩენილმა, შევეცადე ინდივიდუალურად მომეკლო ის წარმოება-დაწესებულებები, სადაც ვაკანსიები იყო გამოცხადებული. თითო-ოროლა საწარმოს გარდა (და იქაც მხოლოდ ათამდე ვაკანსია ჰქონიათ), თავად საწარმოოს უფროსები გაკვირვებული მპასუხობდნენ – ჩვენ არავითარი ვაკანსია არ გამოგვიცხადებიაო.

მივხვდი, სამწუხაროდ მივხვდი, რომ სააკაშვილის ე.წ. „სახელმწიფო დასაქმების პროგრამაც“, წინასაარჩევნო საპრეზიდენტო აფიორა და ტყუილი იყო.

შეურაცხყოფისა და უიმედობის სიმწარემ, აწ უკვე სამუდამოდ ჩამიწყვიტა გული.

ალა ფირცხალავა

არასაპენსიო ასაკის უმუშევარი

რ ე ლ ი გ ი ა

ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა

ინტერვიუ მღვდელ გიორგი სხილაძესთან – ემიგრაციული ეკლესიის იურისდიქციაში მყოფი პარიზის ქართული სამრევლოს წინამძღვართან (მართლმადიდებლობისათვის დევნილ, დიდი ავტორიტეტის მქონე მიტროპოლიტ (აწ განსვენებულ) ვიტალის ომოფორის ქვეშ მღვდელმსახურად კურთხეული)

– ჩვენ, ერის ხალხი, მრევლი, სახარების კითხვისას, წმიდა მამათა წიგნებისა და საეკლესიო კანონების გაცნობისას, რასაც ვიგებთ და ვსწავლობთ, სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ დღევანდელ ეკლესიაში ნებისმიერი იერარქიის საფეხურზე მყოფ სასულიერო პირთა ქადაგებებიდან და ქმედებებიდან.

განგვიმარტეთ, თუ შეიძლება: თუკი ღმერთი ერთი არსებობს და მისი ჭეშმარიტებაც ერთია ამქვეყნად, რომელი სხვა „ღმერთების" რელიგიათა ლიდერების სიყვარულს, ტოლერანტობას, მათთან მეგობრულ და უსიტყვო თანაარსებობას გვასწავლის დღევანდელი ქართული ეპისკოპატი და სინოდი (რომელიც 34 ეპისკოპოსს წარმოადგენს) და რა კანონიკურ შეფასებას მისცემთ კავკასიის მუსლიმთა ლიდერის მიმართ ამ ეპისკოპოსთა საჯარო სიყვარულისა და ძმობის გამოხატულებას; და ასევე, განგვიმარტეთ, წარმოადგენს თუ არა ეს ეკუმენიზმის ერესის საჯარო ქადაგებასა და დამკვიდრებას მართლმადიდებელ ერში სიტყვით თუ საქმით?

– სიყვარულიც სწორად უნდა გვესმოდეს და არ უნდა გავაიგივოთ არც ღვთის სიყვარული სამშობლოსა და საკუთარი თავის სიყვარულთან და არც ღვთის მტრების სიყვარული სამშობლოსა და პირადი მტრების სიყვარულთან. ხილულ-უხილავი სამყაროს უფალი ღმერთი – ქრისტე გვეუბნება, რომ „გიყვარდეთ მტერნი თქვენნი" (და არა ჩემნი) და „აკურთხევდით მაწყევართ თქვენთა" (და არა ჩემთა)-ო! მის ნურც ამ სიტყვებს დავივიწყებთ: „რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევს" (მ., 12:30). მამულის მტრების შესახებ კი შესანიშნავად გამოთქვა ქართულმა გენმა: „სამშობლოს არვის წავართმევ; ნურც ნურვინ შემეცილება. თორემ, ისეთ დღეს დავაყრი, მკვდარსაც კი გაეცინება!". სხვა საკითხია არამართლმორწმუნეს მიჩნევა „მოწყალე სამარიტელად" ანუ მოყვასად, როცა ის სიკეთეს უანგაროდ გიკეთებს. დიახ, თქვენს მიერ მოტანილი მაგალითები წარმოადგენენ არა მხოლოდ ეკუმენიზმის, არამედ უფრო უარესის – პან-ეკუმენიზმის ერესის ქადაგებასა და დამკვიდრებას, რადგან არაქრისტეანთა მიმართ სიყვარული ნიშნავს სწორედ ნამდვილი ღმერთის რწმენაში მათ მოქცევას და არა მათთან უსიტყვო თანაარსებობასა და „მეგობრობას". იმ ქვეყნად, მარადიულ სამყოფელში ისინი იქნებიან ჩვენი მოსაყვედურე, მამხილებელი და გამსამართლებელნი, თუკი ჩვენ ამ ქვეყნად მათ არ ვამცნობთ ჭეშმარიტ რჯულს.

გთხოვთ, კომენტარი გაუკეთოთ კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ეპისტოლეს ამ ორ პუქტს:

1 – „შემწყნარებლობა დღესაც ჩვენი უმთავრესი თვისებაა, – ესაა ჩვენი არჩევანი. სწორედ ჩვენი რაინდული და ტოლერანტული ბუნების გამო იყო... რომ წმიდა მიწაზე მუსულმანთა გაბატონების შემდეგ, XIII-XIV საუკუნეებში, იერუსალიმის მაჰმადიანი მმართველები ქრისტიანთაგან მხოლოდ ქართველებს აძლევდნენ უფლებას, გაშლილი დროშებით, ცხენზე ამხედრებულნი, ბაჟის გადაუხდელად შესულიყვნენ წმიდა ქალაქში და მაცხოვრის საფლავის კლიტეთა მფლობელნიც ქართველები ყოფილიყვნენ. ჩვენ ეს პატივი ომით არ მოგვიპოვებია. იგი იყო ქართული დიპლომატიის შედეგი, რასაც საეკლესიო ურთიერთობებიც განაპირობებდა".

2 – „სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესია დღესაც ცდილობს, შეასრულოს ე.წ. „სახალხო დიპლომატის" მისია და იყოს მშვიდობის დესპანი იმ რთულ სიტუაციებში, რომელშიც საქართველოს თანამედროვე პირობებში უწევს ყოფნა. ამით იყო განპირობებული ჩვენი ჩასვლა მოსკოვში. ეს არის მიზეზი არაბულ ქვეყნებში ჩვენი მომავალი ვიზიტისაც. რელიგიურ ლიდერებთან ღია და გულთბილი შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობაშიც ანალოგიურ დამოკიდებულებას იწვევს და მათში საქართველოსადმი კეთილგანწყობა ჩნდება".

– წმ. პავლე მოციქული ღვთის ბრძანებას რომ გამოთქვამს, ვისაც არ უყვარს უფალი იესუ ქრისტე, ანათემა („მარანათა") მასო, ეს სიყვარულის სახელით მოვაჭრეთა (სინამდვილეში – ჭეშმარიტებისა და მოყვასის მოძულეთა) მიერ უსიყვარულობად აღიქმება. მაგრამ ვის სდებენ

ამაში ბრალს, წმ. პავლეს, რომელიც უფალს ევედრება, ოღონდ ჩემი ერი ცხონდეს და მე მათ მაგივრად ჯოჯოხეთში შთამაგდეო თუ თავად უფალს, რომელიც არის შემოქმედი სიყვარულისა და თვითონ სიყვარული? ასეთებს სიყვარული კბილების გამოჩენა ანუ მსახიობური ღიმილი ჰგონიათ. ან განა დაუმსახურებელი ქებაა სიყვარულის გამოხატულება? როდესაც ეკლესიის პირველი პირი გარყვნილი ფილმის „სიყვარული ვენახში" გადამღებსა და მისნაირებს მიმართავს, „თქვენა ხართ მნათობნი საქართველოისანი, თქვენ გადაარჩინეთ საქართველო"-ო, ეს სიყვარულია თუ მკრეხელობა?

როცა ქრისტეანი მუსულმანს ხვდება, ნავთობისა და წყლის ბიზნესზე კი არა, სიცოცხლის წყალზე ანუ ცხონებაზე უნდა ესაუბროს. მაგალითისთვის გავიხსენოთ წმ. ილარიონ ქართველის (ახალი) ცხოვრებიდან: ერთ დღეს იგი გამოემშვიდობა თავის სულიერ ძმებს და გაემართა თურქი ფაშას შეგონება-სამხილებლად, რადგან ეს უკანასკნელი ქრისტეანებს სიკვდილით სჯიდა; მისგან თვითონაც იგივეს ელოდა, მაგრამ როცა მღვდელმონაზონმა მისი მხილება დაასრულა, რწმენის სიმტკიცითა და სიტყვიერებით მოხიბლულმა ფაშამ მისი დასაჩუქრება და მონასტერში გაშვება ბრძანა... წმ. ილარიონი თვითონ იყო იმერეთის უპირველესი დიპლომატისა და უკანასკნელი მეფის – სოლომონის სულიერი მოძღვარი და სამეფო დიპლომატიასაც კი ჭეშმარიტებაზე მაღლა არ აყენებდა. მეორე მაგალითი მისი მოღვაწეობიდან: ერთხელ, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, სწორედ დიპლომატიური მოსაზრებით, ათონის მთის მონასტრებს დაავალა ინგლისის ელჩის (არამართლმადიდებლის) კვეთის საიდუმლო ლოცვაში („პროსკომიდია") მოხსენიება (ასეთთა მოხსენიება მხოლოდ პირად ლოცვაში შეიძლება). ქართველი მოძღვარი პატრიარქის არასწორ ბრძანებას არ დაემორჩილა და სხვებსაც იგივე მოუწოდა. როცა მასთან მივიდა ერთი ბერძენი მღვდელი და განუცხადა, მე ვასრულებ ჩვენი ეკლესიის მეთაურის კურთხევას და ელჩს ვიხსენიებო, წმ. ილარიონმა მას სასჯელად მღვდელმოქმედების შეჩერება დაადო. ის კი, როცა დანარჩენ მღვდელთა ნებართვით მაინც სცადა წირვის აღსრულება, ლოცვის დასაწყისშივე უეცრად მოკვდა... ეს ამბავი შიშის ზარივით მოედო ყველა მონასტერს და ქართველი მღვდელ-მონაზვნის სახელი და გავლენა (ავტორიტეტი) კიდევ უფრო გაიზარდა. ასე ესმოდათ ჩვენს სახელოვან წინაპრებს დიპლომატია, ასე იხვეჭდნენ უფლებებსა და პატივს (რაც სრულიად საპირისპიროა სულხან-საბა ორბელიანის „დიპლომატისა").

ჯერ კომუნისტური და შემდეგ, ე. შევარდნაძის ნეო-კომუნისტური ხელისუფლება საპატრიარქოს უყურებდა, როგორც რელიგიის სამინისტროს და პატრიარქს – როგორც რელიგის მინისტრს და აქედან გამომდინარე, მას პოლიტიკურ დავალებებს აძლევდა. ასეა ეს, სამწუხაროდ, დღევანდელი ნეო-კომკავშირული ხელისუფლების მხრიდანაც.

– ასევე, განსაკუთრებულად საინტერესოა, მოვისმინოთ თქვენგან შეფასება საქართველოს მართლმადიდებელ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას საქართველოში გადასვენებასთან დაკავშირებით, რადგან მას ხომ იმ უმაღლესმა სამღვდელო იერარქიამ აუგო წესი და დაასაფლავა, რომელმაც მისი დამხობა და გაძევება დიდი ზეიმით აღნიშნა; მერე მის დამამხობლებს – სამხედრო საბჭოს და ა.შ. გვერდიდან აღარ მოშორებია და ყველა იმ ბოროტ საქმეს, რაც კი საქართველოს წინააღმდეგ მაშინდელმა კრიმინალებმა ჩაიდინეს, ლოცვა-კურთხევით განამტკიცებდა.

გთხოვთ, ამ ყოველივესთან დაკავშირებით თქვენი შეფასება გააცნოთ მართლმადიდებელ ერს, საქართველოში იქნება ეს თუ მის საზღვრებს გარეთ.

– სამწუხაროდ, ვეთანხმები ამ შეფასებას, რაც თქვენს მიერ დასმულ კითხვაში უკვე იკითხება.

ბევრ საეროსაც კი, ვისაც პირდაპირ თუ ირიბად ხელი გარეული აქვს ზვიადის სისხლში, სინდისი ეყო, რომ მის გადმოსვენებაზე არ მისულიყო. ჯერ, საქართველოში მისი ასეთი სახით შემოსვენება რას ჰგავდა? ვითომ, ვიღაც რიგითი მოქალაქე სადღაც ჭყლეტაში შემთხვევით მოყვა და მთავრობამ ოჯახს, შუაღამისას, ქურდივითა და ავაზაკივით შემოუსვენა... სად იყო ის სახელმწიფო პატივი, რომელიც ასეთ შემთხვევებში სახელმწიფო საზღვართან მიეგება ხოლმე ხელისუფლებისაგან პრეზიდენტს და თანაც, პირველს?

ამ ყველაფრის მნახველს, შეუძლებელი იყო, არ გაგხსენებოდა მაცხოვრის მრისხანე სიტყვები, თვალთმაქც მწიგნობრებსა და ფარისევლებს რომ ეუბნებოდა: ვაი თქვენ, რომ ამკობთ მართალთა საფლავებს!

იერარქიიდან მათ, ვინც სახელმწიფო გადატრიალებაში პირდაპირ თუ ფარულად მიიღეს მონაწილეობა, ჯერ საერო კანონების წინაშე უნდა აგონ პასუხი (რაც უმაღლეს დანაშაულად – სამშობლოს ღალატად სახელ-იდება და შესაბამის სასჯელს ითვალისწინებს) და შემდეგ, საეკლესიო სასამართლომ უნდა შეაფასოს მათი ეს

გაგრძელება მე-19 გვ.

რ ე ლ ი გ ი ა

ჭეშმარიტი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა

დასაწყისი გვ. 18-დან

და წმინდად სარწმუნოებრივი „მოღვაწეობა“.

– ამ ბოლო დროს გაძლიერდა კათოლიციზმის ერესის ქადაგება საცდურით, რომ კათოლიკე მღვდლები ახდენენ დიდ სასწაულებს, კურნავენ მძიმე სენით შეპყრობილ ადამიანებს; რომ კათოლიკურ ხატებს – უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა – ნახატებს სდით მირონი, ცრემლები და ა.შ. ამით ხალხს არწმუნებენ კათოლიციზმის მწვალებლობის ჭეშმარიტებაში. ეს რწმენაში გაუცნობიერებელ მართლმადიდებლებში მართლაც იწვევს გაორებას, მაგრამ არ ჩანან სასულიერო პირები, რომ განუმარტონ ადამიანებს, თუ რა დამღუპველ, „სიმონ მოგვისეულ“ ცრუსასწაულებთან აქვთ საქმე. გთხოვთ, თქვენი სასულიერო-ავტორიტეტული განმარტებით გაარკვიოთ ხალხი ამ საკითხში.

– მორწმუნე რომ სასწაულს არ უნდა გამოეკიდოს, ამას თვითონ უფალი გვაფრთხილებს: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულს ეძიებს“. მით უფრო, თუ ეს სასწაული სექტანტური სამყაროდან მოედინება, ფრთხილად უნდა ვიყოთ და არასწორი დასკვნები არ უნდა გამოვიტანოთ. ერთ-ერთ კათოლიკურ ანუ პაპისტურ ტაძარში ხდება ასეთი სასწაული: იქ იმყოფება ჭურჭელში ჩასხმული წმინდანის სისხლი, რომელიც მისი ხსენების დღეს დუღილს იწყებს ხოლმე. მაგრამ ეს სასწაული ადასტურებს არა იმას, რომ კათოლიციზმი ანუ პაპიზმი სწორი სარწმუნოებაა, არამედ სწორი სარწმუნოება მართლმადიდებლობაა. არამართლმადიდებლურ ტაძრებში მრავლადაა თავმოყრილი ნამდვილ წმინდანთან ანუ კათოლიციზმისა თუ სხვა განხეთქილების წარმოშობამდე მსოფლიო ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ მორწმუნეთა წმ. ნაწილები და ჭეშმარიტი სასწაულებიც სწორედ მათთან არის დაკავშირებული.

– კინო-ფილმების პრეზენტაციებზე, ოპერისა და ბალეტის კონცერტებზე ხშირად ჩნდებიან ქართველი ეპისკოპოსები, ნახულობენ ფილმებს, ესწრებიან კონცერტებს. საპატრიარქო კონსერვატორიის კლასიკური მუსიკის „სულიერი ტკბობის“ მცირე დარბაზად ხშირად გადაიქცევა ხოლმე, სადაც ცნობილ მსახიობებს ხშირი ვიზიტი უხდებათ... ასევე, სამსახიობო სიმპოზიუმები, ფორუმები ეპისკოპოსებს ხშირად მასპინძლობს.

თუ შეიძლება, განგვიმარტეთ, – თუკი წმიდა მოციქულთა განწესებები მსახიობებს ზიარების უფლებას არ აძლევს, სანამ არ დაუტევებენ თავიანთ ცოდვილ პროფესიას, საპატრიარქოს ეპისკოპოსები რა კანონით ხელმძღვანელობენ, როდესაც მხატვრული კინო-ფილმების ჩვენებებში მონაწილეობენ, თუნდაც, ეს ფილმები ქრისტეზე იყოს გადაღებული?

– ასევე ამბობენ, რომ ზნეობრივად გახრწნილი მღვდლები (მათ შორის, სოდომისტი), არა მხოლოდ მღვდლები, არამედ ეპისკოპოსებიც მომრავლდნენ საქართველოს ეკლესია-მონასტრებში და განმკითხველი არავინ არის, რამაც წარსულშიც და დღესაც დიდად შეუწყო ხელი სექტებში ხალხის გადაბირებას. რა ინფორმაციებს ფლობთ თქვენ, შეეფერება თუ არა ეს სიმართლეს და შემოსულა თუ არა თქვენთან ამ საკითხზე მრევლიდან საჩივრები?

– შესაძლოა, ჯერ კიდევ ახალგაზრდას სჭირდებოდეს იმის განმარტება, რომ კაცის კაცთან (და ქალის ქალთან) მრუშობა, როგორც ბუნების საწინააღმდეგო ქმედება, ღვთის წინაშე წარმოადგენს ცოდვას, რომელსაც წმ. მოციქული პავლე სახელდებს, როგორც „სათქმელადაც კი სამარცხვინოს“. ეს დაცემა უფალს ყველაზე მეტად სძაგს და ასეთებს შეუნანებლობის ანუ გამოუსწორებლობის შემთხვევაში უსასტიკესად სჯის ამ ქვეყნად თუ არა, მარადიულ ცხოვრებაში მაინც. მან ამ ცოდვაში ჩავარდნილი სოდომის, გომორისა და მასთან, კიდევ, სამი ქალაქის მკვიდრნი (ერის ხალხი) ცეცხლოვან-გოგირდოვანი წვიმით ამოწყვიტა (რასაც თანამედროვე არქეოლოგიაც ადასტურებს) და რა უნდა იყოს იმაზე უფრო საძაგელი და საშიში, რომ ამ უწმინდურობამ ეკლესიაშიც შეაღწიოს? სამწუხაროდ, ამ საკითხზე თქვენს შეშფოთებას არცთუ უმნიშვნელო საფუძველი გააჩნია. საქართველოს საპატრიარქოში, რატომღაც, თვლიან, რომ ამ და სხვა მძიმე ცოდვას სასულიერო პირი თუ მოინანიებს, სასულიერო პირადვე შეუძლია დარჩენა, რაც მსოფლიო საეკლესიო კანონმდებლობასა და საღ აზრს ეწინააღმდეგება. ან თუნდაც, ასეთი სინანული სად ჩანს? თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა ახალი დაწყებული გვქონდა, როცა ჩვენმა ერთ-ერთმა ჯგუფელმა შენიშნა, რომ სემინარია-აკადემიის რექტორმა (ეპისკოპოსმა) მას თვალი „დაადგა“... როცა ეს შეიტყო, ამით გაკვირვებულ-აღშფოთებული სამი სტუდენტი საქმის გამორკვევის მიზნით შევიდა რექტორთან, რომელსაც ამ ამბის გახმაურების შეეშინდა და ამის პირობად ორ მათგანს (19 და 21 წლის სტუდენტს) რექტორობიდან გადადგომის ხელწერილი იქვე დაუწერა: „1988 წლის 23 დეკემბერს სამუდამოდ ვტოვებ თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორის თანამდებობას, თანახმად აღნიშნული სასწავლებლის სტუდენტთა მოთხოვნისა. თუ აღნიშნული ხელწერილი იქნება დარღვეული, მიცემულ ვიქნე სისხლის სამართლის პასუხისგებაში“ (მამათმავლობა მაშინ, ჯერ კიდევ ისჯებოდა), ხელმოწერა, მინაწერი: „ხელწერილი ჩემს მიერაა დაწერილი, რასაც ვამოწმებ“ (ისევ ხელმოწერა). როგორც ჩანს, აქ იმუშავა შემდეგმა გარემოებამ: „სექსუალურად გარყვნილი ადამიანების ემოციური მერყეობა და ზნეობრივი ხრწნა განაპირობებს იმას, რომ ისინი, როგორც წესი, ვერ უძლებენ გამოცდილი გამომძიებლის ზეწოლას და პირველივე დაკითხვისას ყველაფერს ფქვავენ“ (გრინბერგ კორის ნაშრომში მოყვანილი ამერიკის სენატის დასკვნიდან ჰომოსექსუალისტთა შესახებ). ამ დროს, როგორ უნდა მოქცეულიყო ეკლესიის მეთაური? თქვენ მეტყვით: სტუდენტებს შეხვდებოდა და სინამდვილეს დაადგენდა. მაგრამ ამის ნაცვლად ოთხივენი გარიცხეს სასწავლებლიდან „სტუდენტისათვის შეუფერებელი საქციელის“ (პედ-საბჭოს გადაწყვეტილებაში ასე ეწერა) გამო, ხოლო ის ეპისკოპოსი მოგვიანებით დააწინაურეს და დღეს არქიეპისკოპოსად გვევლინება...

დიახ, ხალხის დიდი ნაწილი სამღვდელოებაზე მართლაც დაბრკოლებულია ამ და მსგავსი, უზნეო შემთხვევების გამო.

– ფიქრობთ თუ არა, რომ ეროვნული ხელისუფლების აღდგენის შემთხვევაში საჭიროა, კანონიერმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ მოიწვიოს ახალი „რუის-ურბნისის კრება“ და საეკლესიო სამართლით მკაცრად გასამართლდეს სჯულის დამრღვევი სამღვდელოება? ან რაში ხედავ გამოსავალს?

– სრული პასუხისმგებლობით ვამბობ: მსოფლიო ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს, ეპისკოპოსს (ბერს) ეპისკოპოსობაში (ბერობაში) ცოლი მოეყვანოს, ბავშვები გაეჩინოს და არათუ არ განეკვეთოთ, დაეწინაურებინოთ. ეს მოხდა დღევანდელ ქართულ სინოდში. ასევე, მღვდელ-მონაზონი ვილაცასთან შვილს აჩენს, ეს ყველამ იცის და მაინც მღვდლობას აგრძელებინებენ; იქვე, სხვა მღვდელი ამბობს, მას თუ არაფერს ეუბნებიან, იგივეს მეც გავაკეთებო და ა.შ. მოკლედ, სუფევს განუკითხაობა. „რუის-ურბნისის“ დარი კრების გამართვა არის, პირადად, ჩვენი ოცნება.

– ძვირფასო მამა გიორგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ეკლესიის იერარქია შევარდნაძის ანტიეკლესიური ხელისუფლების მეგობრობიდან მშვენივრად შეეწყო დღევანდელ ხელისუფლებასაც, რომელმაც გაუგონარი სისასტიკით დაარბია გლდანის ანტიეკუმენისტური ჭეშმარიტი ეკლესია, დააპატიმრა მისი წინამძღვარი მამა ბასილი მკალავიშვილი და აი, უკვე, მესამე წელია, ციხიდან არ უშვებს.

გვინდა, ასეთი კითხვა დაგისვათ: მაშინ, როდესაც იეღოველების და სხვა სექტის წარმომადგენლები ანგრევდნენ ქართულ ტაძრებს, აგროვებდნენ ხატებს და ცეცხლში საჯაროდ წვავდნენ, ღვთისმშობლის და მაცხოვრის ხატებს თვალებს თხრიდნენ (და ვინ მოსთვლის კიდევ, მათ იმ დანაშაულს, რასაც ისინი, თურმე, საქართველოში სჩადიოდნენ), მათგან არც ერთი არ მიუციათ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, ხოლო მართლმადიდებელი მღვდელი კი კონტრაბანდული სექტანტური ლიტერატურის დაწვის გამო ციხეში უზით. რა შეფასებას მისცემთ ამ ხელისუფლებასთან საქართველოს საპატრიარქოს ასეთ დიდ მეგობრობას?

როგორ ფიქრობთ, განარისხებს თუ არა ეს ღმერთს, რომლის ხატმაც გლდანის ტაძრის დარბევის წინ იტირა და გარდა იმ სასჯელებისა, რასაც დღეს საქართველო განიცდის, მოსალოდნელია თუ არა უფრო დიდი სასჯელები ჩვენს ერზე?

– გლდანის ტაძრის დარბევის ნახვისას 1989 წლის 9 აპრილის კადრები მოგვაგონდა და სხვაობა ის იყო, რომ მაშინ ყველას, ერთად, მტერი გვებრძოდა.

მამა ბასილი თითქმის ყველამ გაწირა. მისგან შექმნეს საფრთხობელა და მასზე გააბატონეს დამცინავი განწყობა, როგორც არაელიტარულ მღვდელზე. ავიწყდებათ კია, რომ სწორედ ელიტარულებმა მოითხოვეს მაცხოვრის ჯვარცმაც. ჩვენშიც განა ე.წ. ელიტამ არ მოაწყო ძმათამკვლელი პუტჩი? ავიწყდებათ, რომ ელიტარული გულითა და სულითაც უნდა იყო და არა – მხოლოდ გონებით. სულით ელიტარულობა სიწმინდისა და სიმართლისაკენ ლტოლვაა. დღეს იმდენად აშინებს და სძულს ადამიანთა უმრავლესობას სიმართლე, რომ სიმართლის თქმა ჩამორჩენილობად და სიგიჟედ ითვლება. საპატრიარქოს ვინც სიმართლე უთხრა, ყველა ეკლესიის მტრად გამოცხადდა. ეკლესიის მტრის წინააღმდეგ ბრძოლა კი საპატიო საქმეა და ისე გამოიყენა ხალხის ეს ზოგადი განწყობა ხელისუფლებამაც, რომ სხვათა – სიმართლის მთქმელ მორწმუნეთა თუ ურწმუნოთა დასაშინებლად დასაჯა ასე სასტიკად გლდანის მრევლი. ამ საშინელებაზე ხატი კი არა, ქვანი რომ არ ატირდნენ, არ გვიკვირს?! ჩვენი საზოგადოება გასაგებ, მაგრამ არა საპატიო მიზეზთა გამო სულიერად იმდენად დადამბლავებულია, რომ მშვენივრად ეგუება, ქვეყნის დამაქცევარი ხელისუფალი აგარაკზე ეჯდეს და მართალია, არაშეუმცდარი, მაგრამ მღვდლურად მაინც პატიოსანი კაცი – საკანში.

სასჯელის ღირსნი ღვთის წინაშე, მეტნაკლებად, ყველანი ვართ, მაგრამ არ დავივიწყოთ, რომ ერი და სახელმწიფო, მომეტებულად, ეკლესიის მსახურთა და ხელისუფლების ცოდვათა გამო ისჯება და დაისჯება. თუ მართალი არ არის ის გარყვნილება, რასაც დღევანდელი ხელისუფლების პირველ პირზე ყვებიან, ეს ერთი უბედურებაა – ხალხის დიდი ნაწილი ცილისწამების ცოდვაში ყოფილა; ხოლო, მიუხედავად ყველაფრისა, მიჭირს დაჯერება და თუ ეს სიმართლეს შეეფერება, ყოველწამს ღვთის რისხვის მოლოდინში უნდა ვიყოთ ერიც და ბერიც.

მამა გიორგისთან ინტერვიუ მოამზადა
იოსებ ღუდუშაურმა

პუბლიკაცია ამოღებულია ვებ საიტიდან ,,დიდგორი'' ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საიტი http://mamuli.net//bpg/publication-view.asp?iabspos=1&vjob=vdocid,11536 (შემოკლებული ვარიანტი.)

მეცხრე საავადმყოფოსთვის ბრძოლა ახალ ფაზაში შედის

მე-9 საავადმყოფოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის (ხსენების დღე 13 დეკემბერი) ეკლესია, რომლის „აღმოჩენა-ამოქმედებაში“ ლომის წვლილი ამ საავადმყოფოს ექიმ-ქისტოლოგს მანანა ადეიშვილს მიუძღვის, ჯერ კიდევ დავის საგანია, ხოლო თავად შენობა მეცენატ ბიზნესმენს ელის, რომელიც უშურველად გაიღებს საჭირო თანხებს ტაძრის აღდგენა-რესტავრაციისათვის.

შექმნილ პრობლემაზე ჩვენ ინტერვიუ ვთხოვეთ ქ-ნ მანანას.

– ქ-ნ მანანა, როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა ამ ეკლესიასთან და როგორ აღმოაჩინეთ იგი?

– ეს ეკლესია ვახტანგ ბერიძის წიგნით აღმოვაჩინე, რომელშიც დასურათებულია ჩვენი საავადმყოფო, რომელიც ადრე სასულიერო სემინარია ყოფილა, რამაც მე ძალიან დამაინტერესა და წავედი სახელმწიფო საისტორიო არქივში, სადაც მოვიძიე ყველა ისტორიული დოკუმენტი და ყურადღებით გავეცანი მათ. ამის შემდეგ დავიწყე ამ ეკლესიის ამოქმედებისათვის ზრუნვა. აქაურობა ნაგვით იყო სავსე. მინდა გითხრათ, მანამდე ვნახე ხილვითი სიზმარი. დამესიზმრა, რომ შემოვდივარ საავადმყოფოში, ინთება დიდი სანთელი, საკმეველის სუნი დგას, მოვყვები ამ სურნელს, ამოვდივარ მეორე სართულზე და შემოვდივარ აქ, ამ ეკლესიაში, რომელიც ჩემთვის ჯერ კიდევ უმოქმედო სხდომათა დარბაზია.

ჩემს მიერ მოძიებულ დოკუმენტაციებში წერია, რომ ამ ტაძრის პირველმა მოძღვარმა ეპიფანე ჯაოშვილმა, სასამართლო წესით საპატრიარქოს კუთვნილებაში გადასცა 700 ჰა მიწა და აქ აშენდა სასულიერო ქალაქი, სამონასტრო კომპლექსით. შემოსასვლელში რომ დიდი ნაგებობაა, იქ იყო ქალთა ეპარქიალური სასწავლებელი. აქ შემოსასვლელში ბერ-მონაზვნების საფლავებია. კარიბჭესთან რომ ერთსართულიანი ნაგებობაა, (სადაც რამდენიმე წელია ქიმწმენდა ფუნქციონირებს), ეკლესიის სამრეკლო ყოფილა. დღემდე ვიღწვი, რომ ამ შენობაში შეწყვიტონ ქიმწმენდის საქმიანობა, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერს მივაღწიე. 2006 წელს გამოვიდა კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, რომელმაც უფრო პერსპექტიული გახადა ჩემი მცდელობა ამ ეკლესიის ამოქმედებისათვის. კერძოდ ჩემს მიერ მოძიებული საარქივო მასალების საფუძველზე მივაღწიე, რომ ამ შენობისათვის მიენიჭებიათ რელიგიური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

ეს ტაძარი ორსართულიანია. ქვემოთა ტაძარი ალექსანდრე ნეველის სახელობისაა, ხოლო ზემოთა წმ, ანდრია პირველწოდებულის და ეს ტაძარი, თავისი ნაგებობით ქაშვეთის წმ, გიორგის ტაძრის მსგავსია. ამ ტაძარში ნიკოლოზ მეორის დედის მარი ფიოდოროვნა-რომანოვას ხელმძღვანელობით, წითელი ჯვრის ეგიდით გახსნილი იყო ლაზარეთი, სადაც 600-საწოლიანი ლოგინი იყო გაშლილი.

მე მაქვს დოკუმენტაცია, სადაც მკაცრად გამიჯნულია მრევლისა და ლაზარეთის ფუნქციები და რომ მრევლს ეკრძალებოდა თავისუფლად შესვლა ლაზარეთში. აქ ერთდროულად მოქმედებდა სემინარია, სამლოცველო ტაძარი და საავადმყოფო (ლაზარეთი). მე ვითხოვ, რომ ამ შენობა-ნაგებობებს დაუბრუნდეს თავისი პირვანდელი სახე და ფუნქცია.

– ეს შენობა, ანუ მე-9 საავადმყოფო, ეკონომიკის სამინისტრომ შარშან შეიტანა გასაყიდ შენობათა ნუსხაში. თქვენს მიერ წარდგენილი საარქივო მასალების წყალობით, თითქოს შეჩერდა ამ შენობის გაყიდვა, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ბოლომდე დაიცვათ შენობა გაურკვეველი წარმომავლობის ფირმებზე გაყიდვისაგან?

– იცით, კანონი კონკონდარტის შესახებ პირდაპირ ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ მსგავს შენობა-ნაგებობებს დაუბრუნდეს პირვანდელი სახე. მაგრამ ვიდრე ამას მივაღწევდეთ, გადავწყვიტე, საპატრიარქოს მეშვეობით ამემოქმედებინა ტაძარი, მაგრამ, ესეც რთული მისაღწევი აღმოჩნდა. საპატრიარქომ თავი შეიკავა. შემდეგ დავიწყე ინდივიდუალური მოქმედება – მივედი ქაშვეთის ეკლესიაში და თვითეულ მღვდელს მოკრძალებით ვთხოვე მოსულიყო ჩვენი საავადმყოფოს ეკლესიაში და თუნდაც თვეში

ჯვრისწერა წმ. ანდრია პირველწოდებულის ეკლესიაში

ერთხელ ჩაეტარებინა წირვა-ლოცვა, ეპატრონათ ტაძრისთვის, მაგრამ მათაც უარი მითხრეს: პატრიარქის ლოცვა-კურთხევის გარეშე უფლება არ გვაქვსო. უიმედო მდგომარეობაში მყოფმა ერთერთ გაზეთში, მამა კონსტანტინეს (კოღუაშვილი) საკმაოდ გაბედული ინტერვიუ წავიკითხე საქართველოს პირველ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიაზე, რამაც გამიჩინა სურვილი მასთან დალაპარაკებისა. მოვიძიე მისი ტელეფონი და დავურეკე. იგი ავად იყო, მაგრაამ ჩემთან შეხვედრასა და მოსმენაზე უარი არ უთქვამს. მან დამლოცა და მშვიდად მომაყოლა ჩემი სათქმელი, რის შემდეგაც სიამოვნებით დამთანხმდა მე-9 საავადმყოფოში წამოყოლაზე. თავის მანქანაში (ძველ „ნივაში“) ჩამსვა და წამოვედით. გზაში ჩემთვის ვფიქრობდი, ის დანგრეული და ნაგვით სავსე „სხდომათა დარბაზად გარდაქმნილი ტაძარი, რომ ნახოს, ვაითუ მსახურება ამანაც აღარ მოინდომოს-მეთქი. ამ ეჭვიანი ფიქრით გავუღე ჩემს მიერ ჩარაზული ტაძრის კარი. მამა კონსტანტინე ისეთი ჩვეულებრივი სიმშვიდით შემოვიდა, გულისყურით დაათვალიერა იქაურობა, მაშინვე გამიჩნდა იმედი, რომ არ მიგვატოვებდა. ასეც მოხდა. მამა კონსტანტინემ და ექიმების მცირე ჯგუფმა იმ დღიდან დავიწყეთ ე.წ. სხდომათა დარბაზიდან ნაგვის გატანა და მისთვის სამლოცველოს სახის მიცემა. მე მოვიყვანე ექსპერტი კულტურის სამინისტროდან ქალბატონი ელენე ელიზბარაშვილი, აგრეთვე პირველი პასპორტის შემდგენი და 2006 წლის 30 მარტის კანონის საფუძველზე შევადგინეთ მეორე პასპორტი. ეს გახლავთ საღრიცხვო ბარათი, რომელშიც წერია, რომ შენობას უნდა დაუბრუნდეს პირვანდელი სახე. ამის შემდეგ კვლავ ვეახლეთ პატრიარქს, რომელმაც მოგვცა ლოცვა-კურთხევა ეკლესიის ამოქმედებისათვის და თითქმის ერთი წელია ეს ეკლესია ამ სახით მოქმედებს. ვეძებ სპონსორს, რომელიც გაიღებს თანხებს ტაძრის აღდგენა-რესტავრაციისათვის, მანამდე კი ეს ეკლესია მაინც მოქმედებს. აქ მამა კონსტანტინე ატარებს წირვა-ლოცვას, ნათლობებს, ჯვრისწერებს და ა.შ. მადლობა უფალს, რომ მამა კონსტანტინეს შემახვედრა, რომელიც ეპიფანე ჯაოშვილის მსგავსი მებრძოლი სულის მოძღვარი აღმოჩნდა.

ქალბატონ მანანა ადეიშვილთან საუბარში შემოგვესწრო წმ. ანდრია პირველწოდებულის ტაძრის პირველი მღვდელმთავრის ეპიფანე ჯაოშვილის შვილიშვილი ქ-ნ ეთერ ხომიზურაშვილი, რომელიც ასევე ქ-ნ მანანა ადეიშვილს მოუძიებია და თავის საღვთო საქმეში გვერდით ამოუყენებია. ვისარგებლე შემთხვევით და ორიოდ სიტყვით მასაც გავესაუბრე.

– მამაჩემი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი იყო სიძე (ქალიშვილის ქმარი) ეპიფანე ჯაოშვილისა. მაშინ, ეგზარხოსობის დროს მე-9 საავადმყოფომდე არსებული სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი რუსი იყო, მამაჩემი კი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი პრორექტორი და მას თანამდებობრივად ეწოდებოდა ეკონომისი. აქ, როდესაც სემინარია მოქმედებდა, საღვთო სჯულს ასწავლიდნენ ეპიფანე ჯაოშვილი, ვასილ ბარნოვი და იპოლიტე ვართაგავა. ეკლესიის გაუქმების შემდგომ ეს სამლოცველო, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორმა სამეცნიერო დარბაზად გადააკეთა, სადაც ხდებოდა დისერტაციების დაცვა. ანუ სასულიერო ცხოვრების ნაცვლად აქ საბჭოთა პერიოდში დაიწყო სამეცნიერო ცხოვრება, ხოლო საავადმყოფოდ, ეს შენობა გადაკეთდა 1960-იან წლებში. სემინარიის ბოლო რექტორი იყო კორნელი კეკელიძე, რომელიც პაპაჩემის სულიერი შვილი ყოფილა. ჯაოშვილები წარმოშობით მესხები არიან, ხოლო ჩვენი შთამომავლობა მე-17 საუკუნიდან ჭიათურაში გადმოსახლებულან. სოფელ ნიგოზეთში. პაპაჩემი ეპიფანე ჯაოშვილის შთამომავლებიდან 18 ღვთისმსახურია.

საუბარში კვლავ მანანა ადეიშვილი გვერთვება.

– დღევანდელი მდგომარეობით საპატრიარქოს უნდა ეს ჩვენი შენობა-ნაგებობები სრულად აქციოს სასულიერო სემინარიად, რაც გამოიწვევს ლაზარეთის გაუქმებას. ჩვენ კი გვსურს, რომ აღსდგეს აქ სემინარია, სამლოცველო და ლაზარეთი. ანუ აღსდგეს თავისი ისტორიული დანიშნულებით. ჩვენ ეს შენობები საპატრიარქოს „ლანგარზე“ მივართვით და გვსურს, რომ გაითვალისწინონ ჩვენი – ექიმების სამართლიანი ინტერესებიც, რათა აქვე გავაგრძელოთ ჩვენი პროფესიული საქმიანობა. ვფიქრობთ, ჩვენ ეს დავიმსახურეთ!

ესაუბრა ქეთევან ჭანტურია

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

რედაქტორი ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით

საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55